ვკითხულობ ბევრს, „ვიცინიან" ერთი

ვერსია

№25 (1567) 21 — 27 ივლისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„ოცნების" სწორი არჩევანი — მმართველმა გუნდმა თბილისის მერობის კანდიდატად კახა კალაძე დაასახელა

ეროსი კიწმარიშვილის სიკვდილის დღემდე უცნობი ვერსია



რას შეეწირა „რუსთავი 2"-ის დამფუძნებელი — ყველაფერი ის, რის შესახებაც 2014 წლის 15 ივლისის შემდეგ არავის ულაპარაკია

ქართველი „ავტორიტეტის" დავალებით, მოსკოვში, ცირკის მსახიობი ქალი მოკლეს

თაღლითი და-ძმა და ოქროს ყალბი ნაკეთობების საქმის დეტალები

„ოცნების“ სწორი არჩევანი – მმართველმა გუნდმა თბილისის მერობის კანდიდატად კახა კალაძე დაასახელა

ტასო გოროზია

მმართველმა გუნდმა თბილისის მერობის კანდიდატი დაასახელა. ამჯერადაც, 2017 წლის მსგავსად, „ოცნება“ ფსონს თბილისის მოქმედ მერზე დებს. კახა კალაძე ამ პოსტისთვის, მართლაც, შესაფერისი კანდიდატურაა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თბილისის მართვის უკვე რამენიმეწლიანი გამოცდილება აქვს – უამრავი პროექტი დაიწყო, რომელთაგან ზოგი დასრულებულია, ზოგი კი მალე დასრულდება. შესაბამისად, კალაძემ იცის, რა და როგორ უნდა მოხდეს.

მეორე, თბილისის მოქმედი მერი „ოცნების“ ის წარმომადგენელია, რომელსაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დაუსაბუთებელი კრიტიკისა და ლანძღვა-გინებისთვის პასუხის გაცემა შეუძლია ანუ კალაძე ოპოზიციასა და საზოგადოების სხვა ანგაჟირებულ წარმომადგენლებს, როგორც იტყვიან, ენის მოჩლექვით არ ელაპარაკება. იგივე „ნაციონალებზე“ კი, ეს სიმართლე ზუსტად ისე მოქმედებს, როგორც წითელი ნაჭერი – ხარზე.

ისე, ოპოზიცია პერიოდულად ავრცელებდა ჭორს, რომ კალაძე, თითქოს, მხოლოდ თანამდებობის კი არა, მმართველი გუნდის დატოვებასაც აპირებდა. ისიც თქვეს, „ოცნება“ კალაძეს მერობის კანდიდატად აღარ დაასახელებსო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, ოპოზიციის გუმანი არ გამართლდა ანუ მის მიერ აგორებული ხმები, ჩვეულებრივი „ფეიკნიუსი“ აღმოჩნდა.

ზოგადად, ნათქვამია, „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო“. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ კოლაბორაციონისტებმაც იერიში სწორედ იმ ადამიანზე მიიტანეს, რომელიც დაარსების დღიდან, „ოცნების“ „ლიდერშიფშია“.

ცნობისთვის: 2011 წელს, კახა კალაძემ, ბიძინა ივანიშვილსა და სხვებთან ერთად, „ქართული ოცნება“ დაარფუძნა და პოლიტიკური საბჭოს წევრი გახდა. დღემდე, ის მმართველი გუნდის ერთ-ერთი სახეა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევებში, „ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, კახა კალაძე ენერგეტიკის მინისტრად ინიშნება.

2013 წლის 20 ნოემბერს, „ქართული ოცნების“ მეორე კაბინეტის დამტკიცებასთან ერთად, ის ვიცე-პრემიერიც ხდება.

2017 წლის შემოდგომაზე, „ქართული ოცნება“ მერობის კანდიდატად ასახელებს, იმავე წლის 13 ნოემბერს, კახა კალაძე თბილისის მერი ოფიციალურად ხდება.

ვერ ვიტყვით, რომ ეს ოთხი-ხუთი წელი კახა კალაძისთვის უპრობლემო იყო. გარდა იმისა, რომ ქალაქში ათასი საქმე იყო გასაკეთებელი, ოპოზიცია, როგორც აღვნიშნეთ, მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ კალაძემ ყველა გამოწვევას თავი, როგორც იტყვიან, გაართვა და, რა თქმა უნდა, აქვს მორალური და პოლიტიკური უფლება, რომ ისევ თბილისის მერი გახდეს!

მოკლედ, საარჩევნო მარათონი დაწყებულია. საარჩევნო კამპანია, ალბათ, ცხელი იქნება, მაგრამ ყველა პროგნოზით, 2 ოქტომბერს, კახა კალაძე თბილისის თავი მეორედ გახდება!

პოლიციამ თელავში მომხდარი დაჭრის, ძალადობისა და ქურდობის ფაქტები გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული გ.გ., ოჯახში ძალადობის, ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაულები 9-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ნაცნობ ქალს – 1989 წელს დაბადებულ მ.მ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მათი კონფლიქტით გამოწვეული ხმაურის გამო, გ.გ.-ს შელაპარაკება მოუხდა მეზობლად მცხოვრებ ძმებთან – 1999 წელს დაბადებულ თ.რ.-სთან და 2004 წელს დაბადებულ ნ.რ.-სთან, რომლებსაც საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, ბასრი საგნით, სხეულზე დაზიანებები მიაყენა. ორივე დაჭრილი მამაკაცი გადაყვანილია კლინიკაში, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდებათ.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის ივნისსა და ივლისში, ქალაქ თელავში, სასურსათო მაღაზიები გაქურდა. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, ოჯახში ძალადობას და სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილ ქურდობას გულისხმობს.

პოლიციამ გლდანში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ღ., განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 14 ივლისს, თბილისში, გლდანში, შურისძიების მოტივით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, სხეულზე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა – 1991 წელს დაბადებულ გ. მ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, გ.ღ. ცხელ კვალზე დააკავა. განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

შსს-მ ტყიბულში მომხდარ დაჭრაში ბრალდებული პირი თბილისში დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ტყიბულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარ სამმართველოსთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.რ., მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. მას ბრალად დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა ედება. დანაშაული 11-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 7 ივლისს, ტყიბულში, გელათის ქუჩაზე, წარსულში არსებული უთანხმოების გამო მომხდარი ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, ნაცნობი – 1987 წელს დაბადებული ა.ფ., სანადირო თოფიდან გასროლით დაჭრა. ამის შემდეგ კ.რ. შემთხვევის ადგილიდან მეგობრის – 1974 წელს დაბადებული ზ.ს.-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კ.რ. მომხდარიდან რამდენიმე დღეში, თბილისში, ბრალდებულის სახით დააკავეს. კ.რ.-ის მეგობარი – ზ.ს. კი დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, მომხდარიდან მალევე, პოლიციის მიერ ტყიბულში იქნა დაკავებული. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

ეროსი კიწმარიშვილის სიკვდილის დღემდე უცნობი ვერსია

ნინო დოლიძე



5 ივლისის ძალადობრივმა მოვლენებმა და „ორკების“ მიერ ნაცემი ტელეოპერატორის, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებამ ყველას, მათ შორის, ჟურნალისტებსაც დაავიწყა, რომ ზუსტად 7 წლის წინ, 2014 წლის 15 ივლისს, „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელი, ეროსი კიწმარიშვილი გარდაიცვალა. ის საკუთარი საცხოვრებლის ავტოფარეხში, მანქანაში იპოვეს და იმთავითვე ითქვა, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. გამოძიებამაც, პრაქტიკულად, ეს ვერსია გაშალა და, საბოლოოდ, დაადგინა, რომ კიწმარიშვილი კი არ მოკლეს, არამედ, თავი მოიკლა, თუმცა ამის მიუხედავად, საზოგადოებაში დღემდე არსებობს ლეგიტიმური ეჭვი, რომ ის, რაც 7 წლის წინ მოხდა, სუიციდი კი არა, შეკვეთილი მკვლელობა იყო. ისე, თუ კიწმარიშვილის ბიოგრაფიას თვალს გადავავლებთ, მკვლელობის ვერსია, ცხადია არ გამოირიცხება, რადგან ეროსი იყო ადამიანი, რომელიც 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მხოლოდ ქართულ მედიაში კი არა, პოლიტიკაშიც, ერთგვარად, „რუხი კარდინალის“ ფუნქციას ასრულებდა. დიახ, მან ბევრი რამ იცოდა, იმაზე ბევრიც კი, რაც შეიძლება, ერთმა ადამიანმა იცოდეს. ისე, ვერსიის დონეზე, ერთის დაშვებაც შეიძლება: დღეს კიწმარიშვილი ცოცხალი რომ იყოს, შესაძლოა, ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო, რადგან ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეროსი რევოლუციების დიდოსტატი იყო – 2003 წელს, მის გარეშე, მაშინდელი ოპოზიცია ვერაფერს გახდებოდა.

სხვათა შორის, ზოგი მიიჩნევს, რომ „რუსთავი 2-“ის დამფუძნებელი, სწორედ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მოვლენებს შეეწირა – მოგეხსენებათ, „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კიწმარიშვილი რუსეთში ჩვენს ელჩად დაინიშნა. მოგვიანებით, მას სააკაშვილთან ურთერთობა გაუფუჭდა, თუმცა პოლიტიკაში, ცხოვრებისა არ იყოს, უკვალოდ არაფერი იკარგება. აკი, არც დაიკარგა.

სიტყვამ მოიტანა და, კიწმარიშვილის გარდაცვალების შემდეგ, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკმა, უსაფრთხოების ექსპერტმა, კონსტანტინე ფორჩხიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში მიანიშნა, რომ კიწმარიშვილის მკვლელობა, შესაძლოა, აგვისტოს ომს უკავშირდება. მოგვიანებით, ქართულმა საინფორმაციო სააგენტო „ნიუპრესმა“ იმ სკანდალური ჩვენების საინტერესო დეტალები გაავრცელა, რომელიც თავის დროზე, აწ განსვენებულმა ეროსი კიწმარიშვილმა, აგვისტოს ომის შემსწავლელ, ე.წ. დავითაიას კომისიას მისცა. ამ ჩვენებიდან საინტერესო ფრაგმენტებს გთავაზობთ და აქვე შეგახსენებთ, რომ კომისიის ის სხდომა, რომელზეც კიწმარიშვილი ჩვენებას იძლეოდა, ჩაიშალა – სამსაათიანი გამოსვლის შემდეგ, კიწმარიშვილს გივი თარგამაძე ჯერ შეეპასუხა, შემდეგ კი, კალმისტარი ესროლა. რატომ გაღიზიანდა გივი თარგამაძე? – როგორც მოგვიანებით მან ჟურნალისტებს განუმარტა, წონასწორობა სიტყვა „გარეწარმა“ დააკარგვინა, რომელიც კიწმარიშვილმა „ნაციონალების“ მისამართით გამოიყენა. ეროსი კიწმარიშვილმა ჩვენება 2004 წლის მოვლენებით დაიწყო, თუმცა კომისიის თავმჯდომარე პაატა დავითაიამ სთხოვა, რომ ყურადღება იმ პერიოდზე გაემახვილებინა, როცა რუსეთში საქართველოს ელჩის თანამდებობა ეკავა (2008 წლის აპრილიდან ივლისამდე – ივლისში ანუ მას შემდეგ, რაც რუსეთმა აღიარა, რომ მისმა თვითმფრინავებმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვიეს, კიწმარიშვილი მოსკოვიდან გამოიწვიეს), თუმცა კიწმარიშვილმა დავითაიას თხოვნა არ გაითვალისწინა და მოვლენების მიმოხილვა 2004 წლიდან დაიწყო, თან განმარტა, რომ მაშინ სააკაშვილსა და მის ადმინისტრაციასთან იყო დაახლოებული:

„2004 წლის თებერვალში, საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის რანგში, გამაგზავნეს მოსკოვში, პრეზიდენტ სააკაშვილსა და რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის, პირველი შეხვედრის ორგანიზების მიზნით; პრეზიდენტ სააკაშვილისგან მქონდა რწმუნება ამ შეხვედრის მომზადების თაობაზე (სააკაშვილის მოსკოვში ვიზიტის შესახებ, „ქართულმა სიტყვამ“ ვრცელი ინტერვიუ უკვე გამოაქვეყნა, სადაც უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, კონსტანტინე ფორჩხიძე ექსპრეზიდენტის საიდუმლო შეხვედრების შესახებ დეტალურად საუბრობდა, – რედ.). ამ შეხვედრის მთავარი შედეგი იყო ის ფაქტი, რომ პუტინსა და სააკაშვილს შორის წარმოიშვა ძალიან პოზიტიური ურთიერთნდობა; ჩვენ ვეუბნებოდით რუსებს, რომ გვინდოდა ახალი დინამიკის შეტანა ორმხრივ ურთიერთობებში და ამ კუთხით, სასტარტო პირობები იყო ძალიან კარგი.

პირველი, რაც რუსებმა გვითხრეს, ის იყო, რომ ისინი იწყებდნენ ურთიერთობებს ახალ ხელისუფლებასთან სუფთა ფურცლიდან, რადგანაც მთლიანად ახალი ხელისუფლება იყო, რომელიც სათავეში მშვიდობიანი რევოლუციის შედეგად მოვიდა. რუსები გვეუბნებოდნენ, რომ მათ სურდათ შეექმნათ ფორმატები იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც ორ ქვეყანას შორის წლების განმავლობაში არსებობდა“...

აჭარის მოვლენების დროს, რუსეთი კვლავ შეეცადა მოლაპარაკებები ეწარმოებინა რამდენიმე ძველ პრობლემაზე, თუმცა ჩვენგან არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა.

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, ამ განცხადების შემდეგ, დეპუტატმა გოკა გაბაშვილმა კიწმარიშვილს სთხოვა, დაეკონკრეტებინა, თუ რას გულისხმობდა. დეპუტატმა გივი თარგამაძემ კი განაცხადა, რომ კომისიის წევრებს მეტი დეტალები სჭირდებათ, რათა ყველაფერი მხოლოდ საუბრის დონეზე არ დარჩეს.

ეროსი კიწმარიშვილი:

„2004 წლის თებერვალში, პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრის დროს, პუტინმა განაცხადა, რომ ის არ იყო მზად, ესაუბრა აფხაზეთის საკითხებზე, თუმცა ის მზად იყო, დაეწყო ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით.

პუტინთან ამ შეთანხმებების შემდეგ, რომლებიც ძალიან წარმატებულად ჩაითვალა, რუსეთი გაღიზიანდა აჭარაში განვითარებული მოვლენების გამო, როდესაც მაშინდელი ლიდერი ასლან აბაშიძე მშვიდობიანად იქნა გაძევებული რეგიონიდან, 2004 წლის მაისში, რადგანაც მაშინდელი კრიზისის დროს, რუსეთი ცდილობდა რაღაც პლატფორმის მსგავსი ჰქონოდა, რომლის საფუძველზეც მას ექნებოდა შესაძლებლობა, ევაჭრა თბილისთან იმ საკითხებზე, რომლებიც ზემოთ ვახსენე, თუმცა მასთან რაიმე დიალოგი არ დაგვიწყია.

აჭარის მოვლენების შემდეგ, როდესაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ სრული კონტროლი დაამყარა რეგიონზე, ჩვენ დავიწყეთ სამხრეთ ოსეთის მიმართულების გააქტიურება. ვანო მერაბიშვილი – უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივანი, რომელიც აჭარის მოვლენებიდან ერთ თვეში, უშიშროების მინისტრი გახდა, ზურაბ ადეიშვილი – მაშინდელი გენერალური პროკურორი და ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც აჭარის მოვლენებიდან ერთ თვეში, შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, ყველაზე აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ საკითხებში.

ირაკლი ოქრუაშვილი განსაკუთრებით აქტიური იყო ამ კუთხით და იგი პირდაპირ მოლაპარაკებებს აწარმოებდა სამხრეთ ოსეთის ლიდერთან, ედუარდ კოკოითთან; ეს მოლაპარაკებები არაფორმალურ ფორმატში იმართებოდა; ისინი სანადიროდაც კი დადიოდნენ ერთად. მე ვიცი ამის შესახებ, რადგანაც მე ვმონაწილეობდი ამ საქმიანობის შედეგების განხილვებში; ეს განხილვები, ძირითადად, შავნაბადას სპეციალურ საპრეზიდენტო რეზიდენციაში იმართებოდა.

ოქრუაშვილი მაშინ ამბობდა, რომ შეთანხმებას მიაღწია კოკოითთან და ეს უკანასკნელი მზად იყო, მოლაპარაკებები დაეწყო თბილისთან, ცხინვალში ძალაუფლების გადაცემის თაობაზე, რამდენიმე მილიონის სანაცვლოდ, თუმცა ოქრუაშვილსა და კოკოითს შორის ინციდენტი მოხდა და რეგიონში ესკალაცია დაიწყო.

შემდეგ, სამხრეთ ოსეთში სპეცოპერაცია განხორციელდა ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით; იმ დღეს, 2004 წლის 19 აგვისტოს, ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ ქართულმა ძალებმა მოკლეს რვა კაზაკი, რომლებიც სამხრეთ ოსეთის მხარეს იბრძოდნენ, თუმცა საბოლოოდ, გაირკვა, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი იქნა მოკლული.

იმავე დღეს, საღამოს, პრეზიდენტი სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, ზურაბ ადეიშვილი, ირაკლი ჩუბინიშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელი უფროსი, გოგი თათუხაშვილი, შინაგანი ჯარების მაშინდელი უფროსი შავნაბადას რეზიდენციაში შეიკრიბნენ; მეც ვესწრებოდი შეხვედრას; იმ დროს იქ არ ყოფილა მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ჟვანია – იგი მთავრობის კანცელარიაში იმყოფებოდა.

შეხვედრის დროს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა დასვა შეკითხვა, დაგვეწყო ცხინვალზე შეტევა თუ არა. ვანო მერაბიშვილი, ირაკლი ჩუბინიშვილი და ზურაბ ადეიშვილი ამ ოპერაციის დაწყების წინააღმდეგნი იყვნენ. შემდეგ ვკითხეთ გოგი თათუხაშვილს, იყო თუ არა საკმარისი შესაძლებლობები, მომდევნო რამდენიმე დღეში რეგიონზე კონტროლის დასამყარებლად, სამხედრო ოპერაციის შემთხვევაში; თათუხაშვილმა ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა ვერ შეძლო.

ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით ამ ოპერაციის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებასთან, რადგანაც ოქრუაშვილი, რომელიც მაშინ სამხედრო ოპერაციას ემხრობოდა, ძალიან დაახლოებული იყო პრეზიდენტ სააკაშვილთან.

ამის შემდეგ, პრეზიდენტი სააკაშვილი მიდის მთავრობის ადმინისტრაციაში და ხვდება ზურაბ ჟვანიას, ეს თავად ზურაბ ჟვანიასა და ირაკლი ჩუბინიშვილისგან ვიცი; ჟვანია ომის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

დასასრული მე-4 გვერდზე

ეროსი კიწმარიშვილის სიკვდილის დღემდე უცნობი ვერსია

მე-3 გვერდიდან

ჟვანიას მხრიდან კატეგორიული წინააღმდეგობის გამო და, ასევე, ერთ-ერთ უცხოურ დედაქალაქთან სატელეფონო ზარის შემდეგ, რომელმაც გააფრთხილა სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგ და ომიც თავიდან იქნა აცილებული.

სამხრეთ ოსეთში ივლისი-აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ჩვენ დავხურეთ გზა იმ მშვიდობიანი მექანიზმებისკენ, რომლებიც თებერვალში გაჩნდა. ვიმეორებ, რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის სწრაფი მოგვარების შანსი გაჩნდა თებერვალში, სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრის შემდეგ.

რუსეთი ცდილობდა, დაეწყო ჩვენთან მოლაპარაკებები შესაძლო გარიგების თაობაზე: სამხრეთ ოსეთი – რაღაცის სანაცვლოდ, მაგრამ ეს ჩვენ არ განვიხილეთ... მე არ ვიცი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს „რაღაც“.

2008 წლის ივნისში, როდესაც ელჩი ვიყავი, სახელმწიფო მინისტრის, იაკობაშვილის მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები მქონდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ წარმომადგენლებთან – იური პოპოვსა და ვალერი კენიაიკინთან და ამ უკანასკნელმა გვითხრა, რომ 2004 წლის ბოლოს და 2005 წლის დასაწყისში, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების კარგი შანსი არსებობდა, თუმცა ეს შანსები ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ გაქრა.

2004 წლის შემოდგომიდან, შევწყვიტე კავშირები საქართველოს ხელისუფლებასთან და შემდგომი მოვლენების შესახებ ინფორმაცია არ გამაჩნია, თუმცა ვადევნებდი თვალს მოვლენებს და ყველამ იცის ის აგრესიული რიტორიკა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება იყენებდა რუსეთისა და მისი ხელმძღვანელობის მისამართით.

2007 წლის 2 ნოემბერს, მივიღე წინადადება შინაგან საქმეთა მინისტრისგან, ვანო მერაბიშვილისგან, გავმხდარიყავი საქართველოს ელჩი რუსეთში.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირადად შემომთავაზა ეს პოსტი 2008 წლის 11 იანვარს... მე სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის პიარის ხელმძღვანელი ვიყავი. როდესაც პრეზიდენტმა ეს პოსტი შემომთავაზა, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილს გულწრფელად სურდა რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება და ამიტომაც დავთანხმდი.

ვახლდი სააკაშვილს მოსკოვში, თებერვალში, როდესაც ის მაშინდელ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდა. როდესაც მოსკოვიდან თბილისში ვბრუნდებოდით, თვითმფრინავში, ჩემი თანდასწრებით, სააკაშვილმა განაცხადა: მე საქართველოს დედაქალაქს აგვისტოში გადავიტან სოხუმში! იქ, ასევე, იყვნენ დაზვერვის სამსახურის უფროსი გელა ბეჟუაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ ვაშაძე და ეკონომიკის მინისტრი ეკა შარაშიძე“.

ამ დროს, კომისიის თავმჯდომარე პაატა დავითაიამ, კიწმარიშვილს სიტყვა შეაწყვეტინა და ჰკითხა, პრეზიდენტი დედაქალაქის სტატუსის ფორმალურ გადატანას გულისხმობდა, თუ სამხედრო ოპერაციას. კიწმარიშვილმა უპასუხა, რომ მისი ვარაუდით, სააკაშვილი ძალის გამოყენებას გულისხმობდა.

„2008 წელს, აპრილის მეორე ნახევარში, შევიტყვე პრეზიდენტის შიდა წრიდან, რომ მათ მწვანე შუქი მიიღეს დასავლელი პარტნიორისგან, სამხედრო ოპერაციის განხორციელებაზე... აშშ-ს პრეზიდენტთან, ჯორჯ ბუშთან შეხვედრის შემდეგ, ჩვენი ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ მათ ჰქონდათ აშშ-ის მხარდაჭერა სამხედრო ოპერაციის განხორციელებაზე.

ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად, მე აშშ-ის ელჩს თბილისში, ჯონ ტეფტს შევხვდი და ვკითხე, მართალი იყო ეს თუ არა, რაც მან კატეგორიულად უარყო“.

ამის შემდეგ, კიწმარიშვილს კომისიის „ნაციონალმა“ წევრებმა მოსთხოვეს განემარტა, თუ რას გულისხმობდა „ხელმძღვანელობაში“ და საიდან შეიტყო ამის თაობაზე. კიწმარიშვილმა უპასუხა:

„მე ვერ გავამხელ იმ პირებს, რომელთაც ეს მითხრეს, მათი უსაფრთხოების მოტივით.

აშშ-ის ელჩთან შეხვედრის შემდეგ, წავედი პრეზიდენტ სააკაშვილთან შესახვედრად; ამ შეხვედრას, ასევე, ესწრებოდა დავით ბაქრაძე და თავდაცვის მინისტრი, დავით კეზერაშვილი“.

კიწმარიშვილს კომისიის წევრებმა ჰკითხეს, დასვა თუ არა ამ შეხვედრაზე საკითხი აშშ-ის მიერ მწვანე შუქის თაობაზე. კიწმარიშვილმა თავდაპირველად განაცხადა, რომ ბაქრაძემ უარყო მწვანე შუქის არსებობა, თუმცა მოგვიანებით, აღნიშნა, რომ ბაქრაძემ ეს „არც დაადასტურა და არც უარყო“. სააკაშვილი კი, დასთანხმდა, რომ ამგვარი ინფორმაცია არსებობდა, თუმცა „იგი დაინტერესდა, ვინ იყო წყარო და ვინ უთხრა ამის შესახებ“.

„შეხვედრის შემდეგ, გავაფრთხილე, არ განეხორციელებინათ სამხედრო ოპერაცია და ვკითხე თავდაცვის მინისტრს, გაგვაჩნდა თუ არა საკმარისი შესაძლებლობები სამხედრო ოპერაციის განსახორციელებლად. კეზერაშვილმა მიპასუხა: „მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, აღარ გვეყოლება ისეთი ძლიერი არმია, როგორიც ახლა გვყავს“.

სამხედრო ოპერაცია უნდა განხორციელებულიყო აფხაზეთის მიმართულებით. ჩამოიყვანეს სამხედრო ინსტრუქტორები ისრაელიდან, ამ სამხედრო ოპერაციის მოსამზადებლად... კეზერაშვილმა, ასევე, განაცხადა შეხვედრაზე, რომ ოპერაცია უნდა დაწყებულიყო მაისის დასაწყისში, ან მანამ, ვიდრე თოვლი დადნებოდა უღელტეხილებზე.

ეს გადაწყვეტილება არ განხორციელებულა“.

ამ დროს, კიწმარიშვილს სიტყვა დეპუტატმა გივი თარგამაძემ გააწყვეტინა და განაცხადა:

„სამწუხარო ტრადიცია ჩამოყალიბდა, როდესაც თანამდებობებიდან გათავისუფლების შემდეგ, ადამიანებს უხარიათ, ისაუბრონ კერძო საუბრების შინაარსზე“... კიწმარიშვილმა კომისიის თავმჯდომარეს მიმართა და აღნიშნა, რომ თარგამაძის ამ განცხადებას საერთო არაფერი აქვს იმ საკითხთან, რომელიც მოსმენაზე განიხილება. თარგამაძემ კიწმარიშვილს მიუგო: „თქვენ თავად საუბრობთ ისეთ რამეებზე, რასაც არაფერი აქვს საერთო განსახილველ საკითხთან“. თარგამაძემ, ასევე, ჰკითხა კიწმარიშვილს, თუ რატომ დასთანხმდა ელჩის თანამდებობაზე და რატომ არ ისაუბრა საჯაროდ, თუ ქვეყანას საფრთხე ემუქრებოდა. კიწმარიშვილმა განაცხადა, ეს იმიტომ გააკეთა, რომ სურდა, ყველაფერი შიგნიდან მოეგვარებინა.

„ჩვენ იმ დროს ვიღებდით ინფორმაციას, რომ რუსები აპირებდნენ სამხედრო ოპერაციის განხორციელებას, აგვისტოში, ზემო კოდორის ხეობაში, იქიდან ქართული ძალების გამოძევების მიზნით. ეს სამხედრო ოპერაცია გადაიდო რუსების მიერ, აფხაზური მხარის თხოვნის საფუძველზე, რადგანაც სოხუმს არ უნდოდა ტურისტული სეზონის ჩაშლა“, – დასძინა კიწმარიშვილმა...

აგვისტოს ომი და სხვა პერიპეტიები იქით იყოს და, შესაძლებელია თუ არა, რომ კიწმარიშვილის ტრაგედია სამაუწყებლო კომპანია ,,რუსთავი 2“-ს უკავშირდებოდეს? – თავის დროზე, ამ კითხვას ეროსის ძმამ, ზურა კიწმარიშვილმა ასე უპასუხა:

„ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ეროსის მოლოდინი ჰქონდა, რომ მისი პერსონა, სტრატეგიული ხედვებით, საინტერესო იქნებოდა. როცა მეორე მხრიდან ამ საკითხზე მზაობა ვერ დაინახა, ყველა თამაშიდან გავიდა. ცხრა თვის განმავლობაში, არ აქტიურობდა. სამაგიეროდ, გააქტიურდნენ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სხვა დამფუძნებლები, ეროსი მათ აკვირდებოდა, ვიღაც-ვიღაცას ედავებოდა და არ თმობდა, ეროსის გამოჩენა მესამე ძალის გამოჩენას ნიშნავდა. იგი ნიშნისმოგებითაც ფიქრობდა: ერთი, ვნახავ, უჩემოდ რას იზამენო. ჩემთან უთქვამს, 2009 წელს დავიწყე ტელეკომპანიის დაბრუნების საქმე და კედელთან აღმოვჩნდი, თუ სამართლიან სახელმწიფოში ვცხოვრობ, ტელეკომპანია პატრონს დაუბრუნდება, თუ გადაწყდება კარგია, თუ არადა, ვიჯდები ჩემთვის და თავად მომაკითხავენო, თუმცა „მაესტროს“ მოვლენების დროს, სხვანაირად აქტიურობდა: ამხილა, თითქოს ნიღაბი ჩამოხსნა ხელისუფლებას, რომელიც სამართლიანობის აღდგენის დროშით მოვიდა. ეროსი დაზარალდა მატერიალურად, ფინანსურად, მოხდა ის, რომ სამაუწყებლო კომპანია „მაესტრო“ აღმოჩნდა პოლიტიზირებული და მართული. საკმაოდ მტკივნეულად, ღია დაპირისპირებაში აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილთან. ეროსი ელოდებოდა, რომ „რუსთავი 2“-ის საკითხზე „ხელების გადაგრეხვა“ წავიდოდა... ასეთი მაღალი რეიტინგის არხი, შეიძლება, ნებისმიერ დროს, ნებისმიერმა ძალამ რევოლუციური მოვლენებისთვის გამოიყენოს. ეროსის უნდოდა, ტელეკომპანია საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაეკეთებინა, **პოლიტიკური ტემპერატურა დაეგდო ანუ იგი აღარ ყოფილიყო იარაღი ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის. ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ „რუსთავი 2“-ის წილების საკითხში, ეროსი ვინმესთვის ხელისშემშლელი იყო“.**

ყველამ კარგად ვიცით, ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების შემდეგ, იგივე „რუსთავი 2-“თან დაკავშირებით, მოვლენები როგორც განვითარდა – ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანია ქიბარ ხალვაშმა დაიბრუნა. მართალია, ნიკა გვარამიამ ახალი ტელევიზია „გააკეთა“, მაგრამ მოდით, ვიყოთ რეალისტები და ვთქვათ, რომ „მთავარი“ ის ტელევიზია არაა, რომელიც რევოლუციას მოაწყობს. ამიტომაც, ფაქტი სახეზეა: ბევრი მცდელობის მიუხედავად, ოპოზიციის ე.წ. გვარამიას ფრთა რევოლუციას ვერ ახდენს.

ისე, ალბათ, მიაქციეთ ყურდღება, რომ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების შემდეგ, მედიამენეჯერების ორგანიზებით ჩატარებულ ერთ-ერთ აქციაზე, „რუსთავი 2“-ის ის დამფუძნებლებიც მივიდნენ, რომლებმაც თავის დროზე, ეს კომპანია ეროსისთან ერთად დააფუძნეს და სიტყვით გამოვიდნენ.

ერთი სიტყვით, ისეთი განცდა იქმნება, რომ თითქოს ყველაფერი ძველი ბრუნდება ანუ ერთგვარი, „დეჟავიუა“.

ცესკო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე 3 539 259 ლარს დახარჯავს

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

რას მოხმარდება ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა

ორ თვეში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. შესაბამისად, სწორედ ახლა, პოლიტიკური პარტიები აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიაში უნდა იყვნენ ჩართულნი და პოლიტიკური ზაფხულის დუღილის ტემპერატურასაც ეს პროცესი უნდა განსაზღვრავდეს, თუმცა ქვეყანაში სულ სხვა რეალობა გვაქვს. დიახ, დედაქალაქის მთავარ გამზირზე პერმანენტული საპროტესტო აქციები იმართება, ოღონდ პოლიტიკური პროცესების ავანგარდში მედიამენეჯერები არიან – ოპოზიციურად განწყობილი ტელევიზიების ხელმძღვანელები, რომლებიც რამდენიმე ათეული ჟურნალისტისა და ოპერატორის მიმართ განხორციელებულ ძალადობას აპროტესტებენ. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორი, ლექსო ლაშქარავა გარდაცვლილია. საპროტესტო მოძრაობა „ლექSOSთვის“ კი კვლავ გრძელდება. ვერ გეტყვით, რა შედეგი მოჰყვება მედიამენეჯერების პროტესტს, ან მივიღებთ თუ არა გაბრაზებული ჟურნალისტების რევოლუციას, მაგრამ ფაქტია – 5-6 ივლისს, მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებზე იძალადეს, მუშაობაში ხელი შეუშალეს და სასტიკად გაუსწორდნენ კიდეც...

უმთავრესი მიზეზი, რის გამოც მთავარმა პოლიტიკურმა მოვლენამ, თითქოს უკანა პლანზე გადაინაცვლა და წინასაარჩევნო კამპანიაც ჯანჯღლდება, სწორედ 5-6 ივლისის მოვლენებია. მიუხედავად ამისა, ცენტრალური საარჩევნო კომისია ჩვეულ რიტმში აგრძელებს მუშაობას და რამდენიმე დღის წინ გამართულ სხდომაზე, ადგილობრივი არჩევნებისთვის საჭირო ფულადი სახსრები საოლქო საარჩევნო კომისიებზე გაანაწილა კიდეც.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №21/2021 საკანონმდებლო მაცნეში უკვე გამოქვეყნდა. ამ დადგენილებით, 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დადგენის მიზნით, ზოგიერთი ღონისძიება განისაზღვრა. დადგენილებას ხელს აწერენ ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, გიორგი შარაბიძე და კომისიის მდივანი, გიორგი ჯავახიშვილი.

საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 8 ივლისის №21/2021 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

„დამტკიცდეს საოლქო საარჩევნო კომისიების საბიუჯეტო განაცხადის ფორმები დანართი 1-ის შესაბამისად; დამტკიცდეს ცესკო-ს მიერ ჩასარიცხი, საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის გამოყოფილი დაფინანსების თანდართული ფორმა დანართი 2-ის შესაბამისად; დაევალოს ცესკო-ს საფინანსო დეპარტამენტს, ამ დადგენილების პირველი და მე-3 მუხლების მიხედვით წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 55 დღისა, ცესკო-ს დასამტკიცებლად წარუდგინოს ცესკო-ს დადგენილების პროექტი 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე; ცესკო-ს მიერ, ამ დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის გამოყოფილი თანხა ჩაირიცხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გახსნილ საბანკო ანგარიშებზე; აუცილებლობის შემთხვევაში, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ეფექტური ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით, შესაძლებელია ხარჯების ცვლილების განხორციელება (გარდა დამხმარე და ტექნიკური პერსონალის ხარჯებისა), შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული საოლქო და საუბნო ხარჯების ჯამური ოდენობის არაუმეტეს 15%-ის ფარგლებში; საოლქო საარჩევნო კომისიებს მიეცეთ უფლება წარმომადგენლობითი ხარჯები გასწიონ არაუმეტეს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის დაზუსტებული ბიუჯეტის 1%-ისა; ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მისი მიღებიდან ორი კალენდარული დღის ვადაში“.

უფრო კონკრეტულად, „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებული ამ დადგენილების საფუძველზე, ცესკო-მ საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის გარკვეული თანხა გამოჰყო. დადგენილების შესაბამისად, ყველაზე მეტი თანხა – 101 632 ლარი, ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიისთვის გამოჰყვეს. მას მოსდევს ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისია – 89 705 ლარით, ხოლო მესამე ადგილზეა საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისია – 86 045 ლარით.

მთლიანობაში, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, ცესკო-მ საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის 3 539 259 ლარი გამოჰყო.

საინტერესოა, კონკრეტულად რა მიზნით უნდა დახარჯონ საოლქო საარჩევნო კომისიებმა ცესკო-ს მიერ გამოყოფილი თანხა. სხვათა შორის, ეს მიზნები ოფიციალურად გაწერილია. დადგენილებას ახლავს დანართი, ესაა ცესკო-ს მიერ შემუშავებული საოლქო საარჩევნო კომისიის განაცხადის ფორმა, სადაც ხარჯის ტიპები კონკრეტულადაა გაწერილი. ასე მაგალითად, საოლქო საარჩევნო კომისიას ეს თანხა სჭირდება საწვავის, კავშირგაბმულობის, საკანცელარიო, იჯარის, მივლინების, სახელფასო და საოფისე ხარჯებისთვის. გარდა ამისა, აქ შედის საბანკო მომსახურების საკომისიო, ასევე, გაუთვალისწინებელი და წარმომადგენლობითი ხარჯები. რაც მთავარია, ცესკო-ს დადგენილებით, გაუთვალისწინებელი ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს საოლქო საარჩევნო კომისიის მთლიანი დაფინანსების 3%-ს, ხოლო წარმომადგენლობითი ხარჯები – საოლქო საარჩევნო კომისიის დაზუსტებული ბიუჯეტის 1%-ს.

ახლა ვნახოთ, როგორ და რა მიზნით იქმნება საოლქო საარჩევნო კომისია. საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ბოლო ცვლილებების მიხედვით, ცესკო უფლებამოსილია, შექმნას საოლქო საარჩევნო კომისია – თითო, ერთი მუნიციპალიტეტის საზღვრებში, ხოლო 10 – თბილისის მუნიციპალიტეტში.

კომისიის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი. 5 წევრს, სრული შემადგენლობის 2/3-ით, ცესკო ირჩევს. არჩევნების დანიშვნის შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, კანონით დადგენილი წესით ნიშნავენ შესაბამისი პოლიტიკური გაერთიანებები, ხოლო 3 წევრს – სრული შემადგენლობის 2/3-ით ირჩევს ცესკო, შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დროის მონაკვეთით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. საოლქო საარჩევნო კომისია შედგება არაუმეტეს 17 წევრისაგან. საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს, საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს ცესკოს მიერ, 5 წლის ვადით არჩეული წევრებისგან – სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

აკრძალულია საოლქო საარჩევნო კომისიის იმავე შენობაში განთავსება, რომელშიც მდებარეობს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო ან მერია, პარტია, სასამართლო, პოლიციის დანაყოფი, ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დანაყოფი. აკრძალულია პარტიის, პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო შტაბის იმ შენობაში განთავსება, სადაც საოლქო საარჩევნო კომისიაა განთავსებული.

ქართული აგროპროდუქტები თურქეთის ბაზარზე გავა

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

შორს არაა ის დრო, როდესაც ქართულ აგროპროდუქტებს თურქეთის ბაზარზე გაიტანენ. ამ საკითხზე მოლაპარაკება თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, საქართველო-თურქეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით შექმნილი ერთობლივი კომიტეტის მე-12 შეხვედრაზე დაიწყო. უფრო ზუსტად, მხარეებმა ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვა დაიწყეს. საქართველოს დელეგაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე, ხოლო თურქეთის დელეგაციას – ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მუსტაფა თუზჯუ ხელმძღვანელობდნენ.

რა ცვლილებები იგეგმება საქართველო-თურქეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში – ინტერვიუ ნინო წილოსანთან

რა ცვლილებებზე იმსჯელეს ანკარაში

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტარიფების ლიბერალიზაცია და მომსახურებით ვაჭრობის შესაძლებლობა – სავარაუდოდ, სწორედ ეს ორი მთავარი ცვლილება შევა საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში. სავარაუდოდ იმიტომ, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკებები არ დასრულებულა. ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება კი თურქეთის დედაქალაქ ანკარაში – საქართველო-თურქეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში შექმნილი კომიტეტის მე-12 შეხვედრაზე მიიღეს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, მოლაპარაკების ფარგლებში, მხარეებმა გაცვალეს ლიბერალიზაციის მოთხოვნა-შეთავაზებები და ტრანსპორტის სფეროში მომსახურების დანართის ტექსტიც განიხილეს.

გენადი არველაძის განცხადებით, საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში ცვლილების შეტანით – განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტარიფების შემდგომი ლიბერალიზება – საქართველოს ექსპორტს გაზრდის თურქეთში და ხელს შეუწყობს ქართველ მწარმოებლებს, რათა თურქეთის ბაზარზე, საკუთარი წარმოების აგროპროდუქცია კონკურენტუნარიანი იყოს. მისი თქმით, ამ საკითხზე, თურქეთის მხარესთან კონსულტაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს.

საქართველოსა და თურქეთს შორის, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება 2007 წელს გაფორმდა, რაც გარკვეული საქონლის იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს. სიტუაციის შესაფასებლად, უფრო ზუსტად, იმის გასაგებად, რა ბენეფიტებს უნდა ველოდოთ, თუ ორ ქვეყანას შორის გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაში ცვლილებები შევა, კონკრეტული ინფორმაცია გვჭირდება. იმის გამო, რომ მოლაპარაკებები არ დასრულებულა, ამ ეტაპზე, ბევრი რამ უცნობია. ზოგადი სურათის შესაქმნელად კი „საქსტატის“ ოფიციალურ ინფორმაციას გავეცნოთ და ვნახოთ, როგორია ორი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვისა და იმპორტ-ექსპორტის მონაცემები.

2020 წლის იანვარ-მაისში, საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო ბრუნვა 561 მილიონ 507 ათასი აშშ დოლარი იყო. წელს, ხუთ თვეში, ეს მაჩვენებელი 35%-ით გაიზარდა და 758 მილიონ 053 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. ცხადია, სავაჭრო ბრუნვასთან ერთად, იმპორტიც გაიზარდა და ექსპორტიც.

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2021 წელს, საქართველომ თურქეთში 624 მილიონ 743 ათასი აშშ დოლარის პროდუქცია შეიძინა, რაც 30.2%-ით მეტია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

რაც შეეხება ექსპორტს, 2021 წლის იანვარ-მაისში, საქართველომ თურქეთში 133 მილიონ 290 ათასი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია გაყიდა, რაც 63%-ით მეტია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

თურქეთში საქართველო ყიდულობს ავტომობილებს, რომლებიც განკუთვნილია 10 ან მეტი ადამიანის გადასაყვანად, ასევე, მზა ნაწარმს, სამკურნალო საშუალებებს, მილებს, შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციებს და სხვა.

საქართველოდან თურქეთში გადის ტრიკოტაჟის ნაწარმი, მაისურები, მანქანით ან ხელით ნაქსოვი ტანსაცმელი, კოსტიუმები, კომპლექტები, ფეროშენადნობები, შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი, ასევე, ნახშირბადიანი ფოლადისგან დამზადებული ნახევარფაბრიკატები და სხვა.

საქართველო-თურქეთის დელეგაციების გადაწყვეტილებით, კომიტეტის შემდგომი შეხვედრა თბილისში, 2021 წლის ბოლოს გაიმართება. მანამდე, მხარეებს შორის კონსულტაციები ექსპერტების დონეზე, ონლაინ-რეჟიმში გაგრძელდება.

ინტერვიუ ნინო წილოსანთან

ცვლილებები, რომლებიც მხარეთა მოლაპარაკებების შედეგად, საქართველო-თურქეთს შორის გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში უნდა შევიდეს, ან კანონპროექტის სახით მომზადდება, ან გარკვეულ ნორმატიულ აქტებში აისახება. ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილების ამოქმედებამდე, ეს საკითხი საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ, უფრო კონკრეტულად, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა უნდა განიხილოს. სწორედ ამიტომ, დეტალების გარკვევის მიზნით, „ვერსია“ კომიტეტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ნინო წილოსანს დაუკავშირდა.

– ქალბატონო ნინო, რას ნიშნავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტარიფების ლიბერალიზაცია და კონკრეტულად, რა ცვლილებები იგეგმება საქართველო-თურქეთს შორის გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში?

– შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ნამდვილად მიმდინარეობს მოლაპარაკებები თურქეთთან, სადაც თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, საქართველოს აგროპროდუქტების მიმართ არსებული რეგულაციები განიხილება, როგორც ტარიფებთან, ასევე კვოტებთან დაკავშირებით. საუბარია ამ რეგულაციების შემსუბუქებაზე, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართულ ფერმერებსა და სხვა ინვესტორებს მნიშვნელოვანი ბაზრის გახსნის შესაძლებლობას მისცემს. ჯერჯერობით, კონკრეტული შედეგები უცნობია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ კარგად პროგრესირებს მოლაპარაკებების პროცესი. იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროცესი კონფიდენციალურია, რა თქმა უნდა, ბევრ დეტალზე ვერ ვისაუბრებ, თუმცა ძირითადი შინაარსი ესაა.

ასევე, შემიძლია გითხრათ, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები ცხოველური წარმოშობის ქართული პროდუქტების თურქეთის ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებით. ეს არის თაფლი და ხორცი, რაც, ალბათ, დამეთანხმებით, რომ მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენს წარმოებას. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი მეზობელი თურქეთი, ორივე ამ პროდუქტის საკმაოდ დიდი მომხმარებელია, შესაბამისად, ამ პროდუქტების გასაღების სერიოზულ ბაზარს წარმოადგენს ჩვენი ფერმერებისთვის. ამ თემასთან დაკავშირებით, წარმატებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ეს პროცესი, თითქმის ბოლოშია გასული, მაგრამ ჯერ თამამად და პირდაპირ ვერ ვიტყვით, რომ ქართული ცხოველური პროდუქტებისთვის ბაზარი იხსნება, თუმცა ამ ეტაპზე, ის ტექნიკური დეტალები მუშავდება, რაც ფიტოსანიტარიასთან და სურსათის უვნებლობის სხვა ნორმებთანაა დაკავშირებული.

– რამდენად რეალურია და ცოტა გადაჭარბებული ხომ არაა მოლოდინი, რომ თურქეთის ბაზარზე ქართული აგროპროდუქტები დაუშვან? თუმცა, თუ დაუშვებენ, საინტერესოა, რა პირობებით?

– ერთი, რაც შეგვიძლია დაზუსტებით ვთქვათ, არის ის, რომ თურქეთის ბაზრის რეგულაციების შემსუბუქება ქართული აგროპროდუქტებისთვის, ზოგადად, საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმადობის ძალიან სერიოზულ ზრდას გამოიწვევს. მეორე ის გახლავთ, რომ ეს არის ორმხრივი მოლაპარაკებები, სადაც მხარეებს კონკრეტული პირობები აქვთ, თუმცა ხაზგასმით გეუბნებით – ჩვენი მხარე ამ მოლაპარაკებებზე წავა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ მაქსიმალურად დაიცვას ქვეყნის ინტერესები!

რა თქმა უნდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი საექსპორტო პოტენციალი თურქეთის ბაზრისთვის იმხელა არ არის, მათი მხრიდან კარგ ნაბიჯებს არ ველოდოთ. შესაბამისად, პოზიტიური მოლოდინები გვაქვს, თუმცა გეთანხმებით, ეს ორმხრივი შეთანხმებაა, რომლის ფარგლებში, კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ საქართველო მაქსიმალურად დაიცავს თავისი მწარმოებლების ინტერესებს.

– უკვე შემუშავებულია თუ არა ეს ცვლილებები ან კანონპროექტის სახით არსებობს, თუ ჯერ დეტალები უნდა დაზუსტდეს?

– არა, ჯერ მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობს. მე ცოტა უფრო მეტ დეტალს ვფლობ, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ეს კონფიდენციალურია და არ მინდა, ხელი შეეშალოს მოლაპარაკებების კარგი შედეგის დადგომას, ამიტომ თავს ვიკავებ დეტალებზე საუბრისგან. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ძირითადი მონახაზია, რაზეც ვსაუბრობთ და იმედი მაქვს, რაც შეიძლება, მალე დავდებთ საბოლოო შედეგს, რასაც შემდგომში, სათანადო საკანონმდებლო, თუ სხვა ნორმატიულ აქტებში ცვლილებები უნდა მოჰყვეს.

– ქალბატონო ნინო, მართალია, მოლაპარაკებები არ დასრულებულა, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოა, სავარაუდოდ, როდისთვის იგეგმება ქართული აგროპროდუქციის ექსპორტი თურქეთში?

– ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე უფრო თამამად შემიძლია გითხრათ, რომ მოლაპარაკებები საკმაოდ ნაყოფიერად მიმდინარეობს და პოზიტიურ შედეგებს მალევე ველოდებით. რაც შეეხება, ზოგადად, აგროსასურსათო პროდუქციაზე რეგულაციების – ტარიფებისა და კვოტების შემსუბუქებას, ამასთან დაკავშირებით, მხარეები ჯერ კიდევ მოლაპარაკების პროცესში არიან და აზუსტებენ იმ პირობებს, რა პირობებშიც ერთმანეთს გარკვეული შეღავათები უნდა დაუწესონ.

„ეკლესია ბრმა მრევლის „დასაბოლებლად“ ყველა საშუალებას იყენებს“

გვანცა პეტრიაშვილი

5 ივლისს, თბილისში დაგეგმილი „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ გამართულ აქციაზე, ჰომოფობიური და ძალადობრივი ჯგუფები მედიის წარმომადგენლებს თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. აგრესიულად განწყობილი პირები ჟურნალისტებს თბილისის ქუჩებში დასდევდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ძალადობრივი ჯგუფები ადამიანებს თავს ქრისტესა და ქრისტიანობის სახელით ესხმოდნენ. ჩნდება კითხვა: რა კავშირი აქვს ქრისტიანობას ძალადობასთან? – „ვერსია“ თეოლოგ ვლადი ნარსიას ესაუბრა.

– ბატონო ვლადი, რადიკალური ჯგუფები ამბობენ, რომ ყველაფერს ქრისტეს სახელით აკეთებენ. სინამდვილეში, რას გვეუბნება ქრისტე?

– ვისაც სახარება წაუკითხავს, არასდროს გაუჩნდება ძალადობის სურვილი ქრისტეს სახელით. ეს არის ძალიან მარტივი იმის გასაგებად, რომ ქრისტიანობა არის მოძღვრება, რომელიც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, არ იზიარებდეს დროისა და ყველა ეპოქის გარკვეულ იდეოლოგიასა და გამოწვევებს, მაგრამ ის არასდროს პასუხობს ასეთ მიუღებლობას, თუნდაც იდეოლოგიურს, ძალადობით. სახარებაში წერია, რომ ეს არის ყოვლად მიუღებელი და ეს განმტკიცებულია ქრისტიანულ შეგნებაში, სხვადასხვა ტიპის ავტორიტეტული წყაროებითაც, მათ შორის, კანონები დაიწერა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს მიუღებელია და ეს კანონები, თავისთავად, იმოწმებს სახარების უამრავ ასეთ ეპიზოდს, სადაც შეუძლებელია სახარების მიხედვითაც, ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ძალადობა იყოს რაიმე ფორმით გამართლებული. რა თქმა უნდა, პროტესტი იქნება გამართლებული და ეს არ ხდება მარტო ჩვენთან, ხდება დასავლეთის ქვეყნებშიც, ეკლესიები არ ეთანხმებიან სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ ახალ მოდელებს, მაგრამ ასე არ ხდება, რომ გამოვიდნენ და ადამიანებს ქუჩაში ურტყამდნენ, ეს არის საშინელება.

– რა ხიფათს ხედავთ?

– ამ მოვლენებს თუ დროულად არ მივახმარეთ მართალი, სწორი ხედვა და თუ არ მივაშუქეთ ისეთი სინათლე, რომელიც გამოააშკარავებს ამ ადამიანების არაქრისტიანულ საქციელს, მანამდე, ვფიქრობ, ეს პროცესები შესაძლებელია, გახდეს დასაბამი მთავარი სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი სურვილებისა და სწრაფვის მიმართ, როგორიც არის, მაგალითად, დასავლურ კულტურებთან, ორგანიზაციებთან თუ ოჯახში გაერთიანებასთან.

ჩვენ ვართ ჯერ კიდევ საბჭოთა საზოგადოება, შეიძლება ის, რაც დღეს ქუჩაში ხდება, ასეთი სიცხადით არ ესმოდეს ახალგაზრდა თაობას, მაპატიოს და მადლობა ღმერთს, რომ ეს ასეა, მაგრამ ჩვენ ხომ ის თაობა ვართ, რომელსაც შეგვიძლია, ამოვიკითხოთ ამ მოვლენებისა და პროცესების მიღმა, თუ რა საშიშროებასთან გვაქვს საქმე?!

ეს არის მოვლენები, რომელმაც შესაძლებელია, გამოიწვიოს საზოგადოების პოლარიზება და ისევ გააცოცხლოს ის იდეალები, რომელიც თავისი არსით, კრიმინალური და რუსულია – ესაა საშინელი საბჭოთა იდეები! პრაქტიკულად, საქართველოში, ჯერ კიდევ არსებობს საშიშროება, ძალიან დაუახლოვდეს წინანდელ ეპოქას რუსეთის ინტერესებისა და იმპერიული ზრახვების მსახური გახდეს. რუსეთის ამოცანაა და ეს გაჟღერებულია პუტინის მიერ, სხვადასხვა დიდ ფორუმებზე, სადაც ჟღერდება ყველაზე მთავარი ზრახვები და მიზნები სახელმწიფო ლიდერების მიერ. იქ ნათქვამია, რომ პუტინი ყველაზე მეტად განიცდის საბჭოთა კავშირის დანგრევას და რა არის ეს საბჭოთა კავშირი? ეს არის წარმოდგენა იმაზე, რომ ის არ თმობს ლიდერობას, თავისი განზრახვით იმ ზონებს უტოლდება, რომელიც შემოხაზული ჰქონდა საბჭოთა პერიოდში და ამ ზონების ისევ გაკონტროლებას ცდილობს. რა აინტერესებთ მათ ჩვენგან? – ერთადერთი რამ, რელიგიური ნაზავით დაარწმუნოს ადამიანები, რომ არსებობს რაღაც ერთი ცენტრი სამყაროში და სხვა დანარჩენი ცივილიზაცია მისი წინააღმდეგია, ამაში გვიყენებს ახლა ჩვენ! ეს ხალხი და ეკლესია, ეს ბრბო, რომელიც თავისი არსით, საბჭოური და საშინელებაა, არწმუნებს ამ უწიგნურ ადამიანებს, ამ ველურებს, რომ ასეთი ქცევით, ასეთი ქმედებებით, თითქოს, ჩვენ ვიცავთ ქრისტიანობასა და მართლმადიდებლობას. ამის უკან დგას რუსული განზრახვა, რათა მაქსიმალურად გაძლიერდეს რუსული იმპერია! ეს საზოგადოების საშინელ პოლარიზებას გამოიწვევს.

– რადიკალური ჯგუფის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მამათმავლობა ცოდვაა. ის ძალადობა, რაც ორი დღის განმავლობაში ვნახეთ, ცოდვა არ იყო?

– ცოდვა სხვა კატეგორიის ღირებულებაა, ხოლო მორალი – სხვა... ეს სხვადასხვა კატეგორიებია. თუ გვაინტერესებს საუბარი ცოდვაზე, ეკლესიას შეიძლება, ჰქონდეს მისი დამოკიდებულება, მათ შორის, მოძღვრება იმასთან დაკავშირებით, რას ნიშნავს ცოდვა. მიუღებელი და სიყალბეა ამ ადამიანების სრულიად არაგულწრფელობა. მაპატიეთ, მაგრამ ამდენი მამათმავალია ეკლესიაში, არც მალავს ეს ხალხი და გაწმინდონ ეკლესია, თუ ასე უნდათ. ყველა ღონესა და საშუალებას იყენებს ეკლესია, ბრმა მრევლის, მაპატიეთ, „დასაბოლებლად“! თუ გაწმენდა უნდათ, გაწმინდონ ეკლესია შიგნიდან.

– ბატონო ვლადი, ბოლო დროს გახშირებულ პედოფილიის ფაქტებზე, ეს ადამიანები და მათ შორის, საპატრიარქოს წარმომადგენლებიც ხმას არ იღებენ, სამაგიეროდ, ლგბტქ+ საზოგადოებას ქვებით დასდევენ, ეს ნორმალურია?

– რა თქმა უნდა, როგორ შეიძლება, ამას ნორმალური უწოდო?! თუმცა ჩვენს საზოგადოებას, რატომღაც მიაჩნია, რომ ეს პროცესები, რომელიც ეკლესიის შიგნით ხდება, არ უნდა გამოვიდეს გარეთ ან არ არის მათი პირდაპირი ინტერესის სფერო. ვხედავთ, რომ ნებისმიერი პროცესი, რომელიც ეკლესიაში მიმდინარეობს, პირდაპირ ან ირიბად არის გავლენა საზოგადოებაზე, ამიტომ ყველამ უნდა ამოიღოს თავისი წილი ხმა. საზოგადოება მაქსიმალურად მიმართული უნდა იყოს, რომ ასეთი ქმედებები გამოსტაცოს ეკლესიის სივრცეს, გამოიტანოს სამოქალაქო სივრცეში და თუ საჭირო იქნება, გადაიტანოს სამოქალაქო განსჯის სფეროში – სასამართლოში. სანამ ეს არ მოხდება, მანამდე მათი თავხედობა იქნება მზარდი. ქრისტიანული იდეა ვისაც მოსწონს, მივესალმები, მაგრამ ვინც ქრისტიანულ იდეას არ სცნობს და ღმერთსა და ეკლესიაზე სხვასაც აცდუნებს, უნდა გამოიფხიკოს ყურები. ჩვენ შეიძლება, ძალიან მალე ისევ აღმოვჩნდეთ რუსულ იმპერიაში და საერთოდ დავკარგოთ ყველა იდენტობა, რელიგიური უკვე დაკარგულია!

შეიძლება თუ არა წამალდამოკიდებულის კოვიდვაქცინით აცრა

გვანცა პეტრიაშვილი

როგორ იმოქმედა პანდემიამ ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ნარკომანიის პრევენციაზე

კორონაპანდემიამ პრობლემები ყველა სფეროში შექმნა. ადამიანებმა დაკარგეს შემოსავლის წყარო, გამძაფრდა დეპრესიული ფონი და ზოგადი სოციალური მდგომარეობაც გაუარესდა. პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური აქტივობის მკვეთრმა ვარდნამ და შედეგად, მატერიალური მდგომარეობის გაუარესებამ, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე, საქართველოშიც, შესაძლოა, წაახალისა ადამიანები ნარკობიზნესისკენ. მოიმატა თუ არა მიმართვიანობამ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრებში? – ამ თემაზე „ვერსია“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ვექტორის“ ხელმძღვანელ კოკა ლაბარტყავას ესაუბრა:

– პანდემიის დროს, ბევრი რამ შეიცვალა. დავიწყებ იმით, რომ ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ, ზოგადად, სხვადასხვა ხელისუფლება დასჯაზე იყო ორიენტირებული. ამან, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი შედეგები მოუტანა იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს პრობლემა ეხებათ და, ასევე, მათ ოჯახებს.

შემიძლია, პირდაპირ გითხრათ, რომ ათასობით ოჯახი გაუბედურდა. წინა ხელისუფლების დროს კი, იცით, რა მდგომარეობა იყო? – მასობრივად მიმდინარეობდა ამ ადამიანების გაუბედურება და ციხეში განთავსება. ეს კანონი დღესაც ძალაშია და თითქმის არაფერი შეცვლილა. ამ ადამიანებს, როდესაც კანონი სდევნის და საზოგადოების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულებაა, გამოსავალი არ აქვთ, გარდა ერთი ნათელი წერტილისა – მიმართონ ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებს. ეს პროგრამები დამოკიდებული ადამიანებისთვის მსოფლიოში დასაბუთებული და მეცნიერულად აღიარებულია. ჩვენთანაც არის ეს პროგრამები, მაგრამ სერიოზული ხარვეზები ახლავს.

ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამას თავისი დანიშნულება აქვს. ერთი ის, რომ ქუჩის ნარკოტიკს მოშორდეს ადამიანი და სხვა ნარკოტიკული საშუალებით ჩანაცვლდეს, რომელსაც ეიფორია მოხსნილი აქვს. უბრალოდ, ეს პრეპარატი ადამიანს საშუალებას აძლევს, დისკომფორტი არ ჰქონდეს. მეორე კი ისაა, რომ როდესაც ადამიანი შორდება ე.წ. ქუჩის ნარკოტიკს, კრიმინალურ მოქმედებებში მისი იძულებით ჩართულობა, თითქმის გამორიცხულია იმიტომ, რომ არ უწევს ყოველდღიურად, „ულუფისთვის“ ფულის შოვნა. შესაბამისად, კრიმინალიზაციის დონე მცირდება.

მესამე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – სისხლით გადამცემი ინფექციები, ფაქტობრივად, ნულამდეა დასული.

პანდემიის პერიოდში, ბევრი ადამიანი მონაწილეობს ამ პროგრამაში, თუმცა სანიტარული ნორმები არ არის დაცული და რიგებიცაა, რაც ვირუსის გავრცელების რისკი გახლავთ. რამდენიმე თვის წინ, სახელმწიფომ ეს მდგომარეობა გაითვალისწინა. შედეგად, გამოიცა მინისტრის ბრძანება და მას, ვინც ამ პროგრამის სტაბილური მონაწილეა, დროებით, საშუალება აქვს, 5 დღის სამყოფი პრეპარატი წაიღოს და უფრო კომფორტულად იყოს.

ამას მოკლებული იყო ჩვენი პროგრამები. მოულოდნელად, მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ისევ შეიცვალა ვითარება და ძველი მდგომარობა დაბრუნდა. რა თქმა უნდა, ეს გავაპროტესტეთ და როდესაც ვითარება შეფასდა, მინისტრი იძულებული გახდა, ეს ბრძანება ისევ შემოეტანა.

წლების განმავლობაში, ამ სფეროში ვარ და მეც ამ თემს წარმოვადგენ. სამწუხაროდ, ჩემს ცხოვრებაში ისე მოხდა, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე, მეც ვიყავი დამოკიდებული. უსამართლო დამოკიდებულების გამო, შევქმენი ორგანიზაცია და წლებია, საკმაოდ წარმატებულადაც ვმოღვაწეობ, როგორც სამედიცინო, ასევე, უფლებების დაცვის სფეროში.

– ბატონო კოკა, პანდემიის დროს, მომართვიანობა გაიზარდა თუ შემცირდა?

– პანდემიის გამო, ამ პროგრამებში ჩართვა შეზღუდულია ანუ შემცირდა პრეპარატის გაცემის დრო და ადამიანებმა მიმართეს „შავ ბაზარს“, სადაც გააძვირეს ფასები. ამის გამო, შეეზღუდათ ხელმისაწვდომობა და ცუდი შედეგებიც მოჰყვა ყველაფერ ამას. ზედოზირების ფაქტებიც კი გაიზარდა.

– იმას გულისხმობთ, რომ ფასების მატებამ მომხმარებლების რიცხვი არ შეამცირა?

– რა თქმა უნდა, არა! მომხმარებელთა რიცხვი ვერ შემცირდებოდა, რადგან ეს საკმაოდ სერიოზული სამედიცინო პრობლემაა. ამ ადამიანებს შეზღუდვით პრობლემას ვერ მოუხსნი, შესაბამისად, მდგომარეობა უფრო დამძიმდა და გაღრმავდა. ჩანაცვლებითი თერაპია კი გულისხმობს ორი ტიპის პროგრამას – ეს არის „მეტადონი“ და „სუბოქსინი“. „სუბოქსინთან“ მიმართებაში, რაოდენობა შეზღუდულია, „მეტადონის“ შემთხვევაში კი პირიქით – შეუზღუდავია და ვისაც აქვს სურვილი, ყველა ერთვება, თუმცა არის ალტერნატივაც, კომერციული პროგრამების სახით.

„სუბოქსინს“ რაც შეეხება, რამდენიმე მომწოდებელია, დაახლოებით, 3000 ადამიანი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჩართულია ამ პროგრამებში და ყოველდღიურად, კოლოსალურ თანხას იხდის. საუბარია, ყოველდღიურ გადასახადზე, რაც 30 ლარია. წარმოგიდგენიათ, ყოველდღიურად, ნარკოტოკის მომხმარებლმა 30 ლარი უნდა იხადოს, რაც თვეში, 900 ლარი გამოდის! პირდაპირ, ძარცვავენ ამ ადამიანებს!

– საკმაოდ დიდ ხანს ვიყავით იზოლაციაში, როგორ ფიქრობთ, ნარკოდამოკიდებული ადამიანების ფსიქიკურ მდგომარეობაზე ამან იმოქმედა?

– შეზღუდვები მაშინ, როცა საქმე გვაქვს დამოკიდებულებასთან, რა თქმა უნდა, ცუდად მოქმედებს. თუ ნარკოდამოკიდებულმა ეს პრეპარატი ვერ მიიღო, წამების მდგომარეობა ეწყება, ისეთი ტკივილები აქვს! შესაბამისად, ეს ძალიან დიდი პრობლემაა მათთვის.

– ბატონო კოკა, ნარკოდამოკიდებული ადამიანების ვაქცინაცია შეიძლება?

– დიახ, შეიძლება და ამას უკუჩვენება არ აქვს. როგორც ყველა ადამიანისთვის, ისე მათთვისაც შეიძლება აცრა.

– ზოგადად, როგორ მოქმედებს COVID-19 ნარკოდამოკიდებულ ადამიანებზე? შედარებით რთულად ხომ არ გადააქვთ?

– ამ ადამიანების ორგანიზმის იმუნური სისტემა საკმაოდ დაქვეითებულია. ვირუსების მიმართ მგრძნობელობა უფრო გაზრდილია და თუ შეხვდათ ეს ვირუსი, შესაბამისად, შებრძოლების უნარიც დაქვეითებულია, ამიტომ ფატალური შედეგის რისკიც მაღალია.

– ყოველწლიურად, ახალი ნარკოტიკული საშუალებები შემოდის ქვეყანაში. წელს თუ არის გავრცელებული ამ ტიპის ნარკოტიკული საშუალება?

– ამას თითქმის ჩაძიებაც კი არ სჭირდება, ყველაფერი ისედაც ნათელია. ჩვენ ვხედავთ, რომ „შავი ბაზარი“ კიდევ უფრო ძლიერდება. ხელმისაწვდომობა არ შემცირებულა და კიდევ უფრო დამძიმდა მდგომარეობა. სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალება საკმაოდ აქტიურად იყიდება ინტერნეტ-სივრცეში. ძალიან ბევრი ფაქტია, რომელიც ფატალურად მთავრდება, რადგან რეალურად, არც იციან, რას ყიდულობენ. სიტუაცია ვერ გაკონტროლდება, თუ პრევენციული ღონისძიებები არ გატარდება!

სამართალი

№25 21 ივლისი 2021 წ

ქართველი „ავტორიტეტის“ დავალებით, მოსკოვში, ცირკის მსახიობი ქალი მოკლეს

თაღლითი და-ძმა და ოქროს ყალბი ნაკეთობების საქმის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

დღეს არავის უკვირს, თუ ადამიანს მილიონი აქვს. საქართველოში რამდენიმე ასეული მილიონერია, თუმცა დიდი ფულის გამო, ციხეში ჩასმა არ ემუქრებათ. აი, საბჭოთა კავშირის დროს კი დიდი ფულის გამოჩენას ვერ მოახერხებდით, რადგან უნდა აგეხსნათ, საიდან გქონდათ, რატომ გქონდათ... საბჭოთა მოქალაქის ხელფასი მოკრძალებული გახლდათ და ამიტომ, მოკრძალებულად უნდა გეცხოვრათ, თუმცა იმ დროსაც იყვნენ არაოფიციალური მილიონერები და რაც მთავარია, ეს მილიონერები იმდენს ახერხებდნენ, გისოსებს მიღმა არ მოხვედრილიყვნენ. ისინი უხდიდნენ ყველას – სამართალდამცავებს, უშიშროებას, პოლიტიკურ ჩინოვნიკებს, „კანონიერ ქურდებს“ და ამის მიუხედავად, მაინც უზარმაზარი შემოსავალი რჩებოდათ. მათთან ურთიერთობის დაძაბვა არავის სურდა და არც ძაბავდა, თუ გადაწყვეტილება უმაღლეს დონეზე არ იქნებოდა მიღებული. ეს უმაღლესი დონე კი, ძირითადად, პარტიის პირველი პირები ანუ ცეკას მდივნები იყვნენ.

„ორგანოში მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა, როცა მოსკოვიდან ერთი კაცი მოითხოვეს მივლინებით. ყველამ იუარა წასვლა და სიმართლე გითხრათ, ვერ მივხვდი, რატომ. რუსეთის დედაქალაქში თავის გამოჩენის შანსი პატარა საქმე არ იყო და რაც მთავარია, ლეგენდარული „მურ“-ისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა. იქ შემთხვევითი ხალხი ვერ ხვდებოდა, საქმის ნამდვილი პროფესიონალები გახლდნენ, ამიტომ, როცა არჩევანი ჩემზე შეჩერდა, სიხარულით მეცხრე ცას ვეწიე“, – გვიყვება ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სანამ ახალგაზრდა ოპერმუშაკი რუსეთის დედაქალაქში გაემგზავრებოდა, უთხრეს, რომ საქართველოდან ვინმე, დავით ჩიქოვანის საქმე უნდა წაეღო. რადგანაც ახალბედამ არ იცოდა, ვინ იყო ჩიქოვანი, მისი საქმე მარტივად მოჩხრიკა და გასამგზავრებლად მზადება დაიწყო.

„შენ არ იცი, ვინ არის ჩიქოვანი. ის საქართველოში კი არა, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უმდიდრესი კაცია, ცნობილი „ცეხავიკი“, ყველა კმაყოფილი და მადლიერი ჰყავს. საქართველოში მის წინააღმდეგ წასვლას ვერავინ გაბედავს და, როგორც ჩანს, რუსეთში გადაურბინა გზაზე ვიღაცას. მაგის ბრძანებით, შეიძლება, ციმბირში კაცი მოკლან, ამიტომ, სანამ რამეს მოიმოქმედებ, ბევრჯერ დაფიქრდი“, – გააფრთხილეს კოლეგა უფრო გამოცდილებმა და ამით მიანიშნეს, რატომ აიცილეს საქმე, რომელშიც დავით ჩიქოვანის სახელი ფიგურირებდა.

მოსკოვში ჩასულ ახალგაზრდა ოპერმუშაკს, იქაურმა გამოცდილმა გამომძიებლებმა ცოტა უნდობლად შეხედეს. მიხვდნენ, ქართულმა მხარემ საქმე თავიდან აიცილა, ღლაპი გაუშვა, რომელსაც რეალურად, პასუხსაც ვერავინ მოსთხოვდა, თუმცა მთავარი ის იყო, რა ჩაიტანა ქართველმა გამომძიებელმა რუსეთის დედაქალაქში. საქმეში დეტალურად იყო აღწერილი ჩიქოვანის გარემოცვა, მისი კავშირები კრიმინალურ სამყაროსთან და, რაღა თქმა უნდა, ბატონ თენგიზს საქმის არსიც გააცნეს.

მოსკოვში ორ-კაციანი დაჯგუფება მოქმედებდა, რომელიც ოქროს ყალბი ნაკეთობებით ვაჭრობდა. დაჯგუფებამ მოატყუა არა მარტო გამოუცდელი ადამიანები, არამედ, ძალიან გამოცდილებიც და, მათ შორის, დავით ჩიქოვანიც. საინტერესო ის გახლდათ, რომ ჩიქოვანმა, როცა ძვირფასი ნაკეთობების შეძენა შესთავაზეს, თან გამოცდილი იუველირი იახლა, რომელმაც დაუდასტურა, რომ „ცეხავიკი“ ფულს ნამდვილ ბაჯაღლოსა და ბრილიანტებში იხდიდა, თუმცა სამკაულები იქვე, ოსტატურად შეუცვალეს და ყალბი გაატანეს. ჩიქოვანმა ფული გადაიხადა, სიყალბე კი მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ აღმოაჩინა. მან ძვირფასეულობის გამყიდველებზე ნადირობის სეზონი გამოაცხადა და, რაღა თქმა უნდა, დახმარება „კანონიერ ქურდებს“ სთხოვა.

თაღლითები ახალგაზრდები გახლდნენ – ულამაზესი გოგონა და კაცი, თუმცა ყველა მოტყუებული ამბობდა, რომ ისინი საყვარლებს არ ჰგავდნენ.

ჩიქოვანის გარდა, მოატყუეს არაერთი საიუველირო მაღაზიის გამყიდველი. ქალი შედიოდა, კარგა ხანს ატრიალებდა ხელში სამკაულს, შემდეგ არ ყიდულობდა და სწორედ ამ ტრიალის დროს, ნამდვილს ყალბით ცვლიდა. მოსკოველმა მაძებრებმა დაადგინეს, რომ რიგითი იუველირი ასეთ სიყალბეს ვერ შექმნიდა. აღნიშნული სამკაულებისთვის სპეციალური ჩარხი იყო აუცილებელი, რომელიც უმკაცრეს კონტროლზე ჰყავდათ აყვანილ. ასეთი ჩარხები არ იყიდებოდა, არც „ლევად“ მზადდებოდა და მხოლოდ საიუველირო ქარხნებში იდგა. ჩარხს როცა ვამბობთ, უზარმაზარ დანადგარს ნუ წარმოიდგენთ. ეს იყო ოქროსა და ბრილიანტის დასამუშავებელი დაზგა, დაახლოებით, 15 კილოგრამამდე იწონიდა და ყველაფერი ხელით კეთდებოდა ანუ ელექტრო არ გახლდათ. გამომძიებლებმა ყველა ქარხანა შეამოწმეს და აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთში, ასეთი ჩამოწერილი დაზგა გაქრა. აქცენტი სწორედ ამ საწარმოზე გაკეთდა, რადგან ცხადი იყო – რომელიღაც თანამშრომელმა იცოდა, რომ დაზგა გაფუჭდა, იცოდა, სად იდო, იცოდა, როგორ შეეკეთებინა და მოაპარინა.

უმკაცრესად დაცული ობიექტიდან დაზგა მარტივად გაიტანეს. ერთ დღეს, იქ ყუთები ჩამოტვირთეს, რა თქმა უნდა, ყალბი ანგარიშფაქტურებით და თქვეს, რომ ეს ყუთები სწორედ ამ საწარმოსთვის იყო გამოყოფილი. მუყაოს ყუთებში უნიტაზები, ხელსაბანები და აბაზანის სხვა მოწყობილობები იდო. რადგანაც ყუთები საღამოს მიიტანეს, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ყველაფერი მეორე დღისთვის გაერკვია, თუმცა მეორე დღეს, იგივე ხალხი და იგივე მანქანა მივიდა ობიექტზე და ბოდიში მოიხადა, აქაოდა, შეგვეშალა, ყუთები სხვაგან უნდა წაგვეღოო. საწარმოს ხელმძღვანელებმაც უპრობლემოდ გაატანეს ყუთები და უდიდესი ალბათობით, სწორედ ერთ-ერთ ყუთში მოათავსეს გაფუჭებული დაზგა.

„მოსკოველ გამომძიებლებს ჩიქოვანის კავშირები ერთადერთი მიზნით აინტერესებდათ – სურდათ, დაესწროთ თაღლითების პოვნა, რადგან თუ სამართალდამცავებამდე, დამნაშავეებს ჩიქოვანის ხალხი იპოვიდა, კარგი დღე არ დაადგებოდათ. ამიტომ, კრიმინალურ სამყაროში, მისი ყველა მეგობრისა თუ მფარველის სახელი კარგად მოინიშნეს და მათზე თვალთვალი დააწესეს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ამასობაში, მილიციაში, ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ცოლმა განცხადება დაწერა. როგორც ის ამბობდა, ქუჩაში შესთავაზეს ოქროს საოცარი ნაკეთობა და თან ძალიან იაფად. ქალი ოქროში კარგად ერკვეოდა, ამიტომ დარწმუნდა, რომ საქმე ძვირფას მეტალთან ჰქონდა და გოგონა, რომელიც მას ჰყიდდა, შინ მიიწვია, ფული გადაუთვალა და ნაკეთობა გამოართვა. სამი დღის შემდეგ, ქალმა ახალი ნაკეთობა ყელზე მოირგო და მიხვდა – ოქრო არ იყო. სწორედ ამ ქალმა აღწერა დეტალურად თაღლითი და სამართალდამცავებს ფოტორობოტის შექმნაში დაეხმარა. აღნიშნული ფოტო ყველა განყოფილებას გაუგზავნეს და როგორც მერე გაირკვა, სანამ ფოტო ყველა განყოფილებაში დარიგდებოდა, ჩიქოვანს უკვე მაგიდაზე ედო.

როგორც ჩანს, სამართალდამცავებმა კარგად იცოდნენ, რომ ფოტო კრიმინალებსაც ჰქონდათ და ამიტომ ძებნა გააააქტიურეს. ყველა მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა, როცა ყველასთვის მოულოდნელად, ფოტოზე გამოსახული ქალი, ერთ-ერთმა უბნის რწმუნებულმა ამოიცნო.

„მოვიდა „მურ“-ში ვიღაც პეტია, სერჟანტი და თქვა, რომ ამ ქალის სურათი სახლში ჰქონდა გაკრული. ქალბატონი ცირკის მსახიობი იყო და აფიშაზე იმდენად მომხიბვლელად გამოიყურებოდა, რომ უცხოელი მოდელების გვერდით გააკრა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ქალი ცირკში ბანქოთი ჟონგლიორობდა, ფოკუსებს აჩვენებდა, ყველაფერი კი ხელის სისწრაფეზე ჰქონდა გათვლილი. საიუველირო მაღაზიის გამყიდველებმა ქალი ამოიცნეს და... ამოიცნეს მეორეც, მამაკაცი, ამ ქალის ძმა, რომელიც იმავე ცირკში უბრალო მუშა იყო. სამართალდამცავები ქალის დასაკავებლად გავიდნენ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

როცა მილიციის თანამშრომლები იმ კორპუსის ეზოში შევიდნენ, სადაც ქალი ცხოვრობდა, ერთ-ერთი სადარბაზოს წინ შეკრებილი ადამიანების ჯგუფი და სასწრაფო დახმარების მანქანა დაინახეს. კორპუსის მაცხოვრებლებმა თქვეს, რომ ქალი სადარბაზოდან გამოვიდა, მას უცხო მამაკაცი მიუახლოვდა, რაღაც უთხრა და გულ-მკერდის არეში დანა დაარტყა. დარტყმა სასიკვდილო აღმოჩნდა და გამომძიებლები მიხვდნენ – მათ ჩიქოვანმა დაასწრო.

საჭირო იყო გარდაცვლილის ძმის დაკავება, რომელიც იმ დროისთვის ცირკში უნდა ყოფილიყო. დარეკეს ცირკის ადმინისტრაციაში, ახლოს მდებარე მილიციის განყოფილებაში და მეორე ეჭვმიტანილის ცოცხლად აყვანა მოხერხდა.

დაკავებულმა აღიარა, რომ დაზგა საამქროს ერთ-ერთ იუველირთან შეთანხმებით მოიპარა, ყალბ ძვირფასეულობასაც ის იუველირი ამზადებდა, გასაღება კი და-ძმაზე იყო დამოკიდებული. მათ 250 ათასი მანეთის შეგროვება სურდათ, ზუსტად ამდენი სჭირდებოდათ ახალი ცხოვრების დასაწყებად და 150 ათასზე მეტი შეგროვებულიც ჰქონდათ. დააკავეს იუველირიც, რომელსაც თანამშრომლობის გარდა, სხვა გზა, უბრალოდ, აღარ დარჩა. იმის მიუხედავად, რომ გამომძიებლები მაქსიმალურად ცდილობდნენ, დაკავებული თაღლითი კრიმინალთა რისხვისგან გადაერჩინათ, მან სასამართლომდე ვერ მიაღწია – საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს. არადა, ის სამარტოო საკანში იმყოფებოდა და არაფერი ეტყობოდა, რომ თავის მოკვლას აპირებდა. ზერელე ექსპერტიზამ ვერაფერი დაადგინა და საქმე დაიხურა. იუველირს სულ 4 წელი მისცეს და ამაში დიდი როლი იმან ითამაშა, რომ მის სახლში ფული ვერ აღმოაჩინეს – და-ძმა მას თანხის გაყოფას სამომავლოდ დაჰპირდა.

23 წლის ბიჭმა 18 ქალი გააუპატიურა, ხუთი კი მოკლა

ბათო ჯაფარიძე

მე თუ მკითხავთ, საქართველოში, გაუპატიურებაზე, მსოფლიოს მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური სასჯელია. საუბარი არ მაქვს მხოლოდ არასრულწლოვანის გაუპატიურებაზე, რომელიც უპირობოდ, უვადო თავისუფლების აღკვეთით უნდა ისჯებოდეს, არამედ, ძალადობაზე, რომლის მსხვერპლი ზრდასრული ქალი ან კაცია. მოსამართლე შუაზე რომ გაიხეს და გაიფხრიწოს, დამნაშავეს 7 წელზე მეტს ვერ მიუსჯის და არ იქნებოდა ურიგო, ამ შემთხვევაშიც, სასჯელი 15 წლამდე გაგვეზარდა.

ტურისტული სეზონი საქართველოში დამსვენებლების ნაკლებობას არც ადრე უჩიოდა. მით უმეტეს, მაშინ აფხაზეთი ჩვენს მიერ კონტროლირებადი ტერიტორია იყო და ულამაზეს მხარეში, მილიონობით ტურისტი ჩამოდიოდა, სხვადასხვა ქვეყნიდან. აფხაზეთში დასვენება არა მარტო პრესტიჟული, არამედ, ჯანმრთელობისთვის სასარგებლოც იყო. სამწუხაროდ, დღეს ეს ულამაზესი მხარე ჩვენი იურისპრუდენციის ქვეშ არ არის – ოკუპირებულია და კრიმინალი ისე ყვავის, ტურისტს კარგი გული უნდა ჰქონდეს, იქ დასვენება რომ გადაწყვიტოს.

მაშინ სოჭის მიმართულებით მატარებელიც დადიოდა და მგზავრთა ნაკადი გადაჰყავდა. ბილეთის შოვნა, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახლდათ და ხშირად მგზავრები გამცილებლებს ხელზე უხდიდნენ ფულს, რათა ვაგონის მოსაცდელში, ფეხზე დამდგარიყვნენ და ადგილამდე ისე ჩასულიყვნენ.

„კარგად მახსოვს, 1979 წლის აგვისტო იდგა, როცა, პრაქტიკულად, საგანგებო მდგომარეობა გამოგვიცხადეს. სოხუმიდან წასული მატარებლის ერთ კუპეში, ოთხი გარდაცვლილი ქალი ნახეს – ოთხივე გაუპატიურებული იყო და შემდეგ, დანით აჩეხილი. ეს არ გახლდათ რიგითი შემთხვევა, ეს იყო კატასტროფა, თან იმ წელს, როცა თითქოს, ყველგან, ყველაფერი დალაგდა და მსოფლიოს დავუწყეთ იმის მტკიცება, რომ საბჭოთა კავშირი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა. ამასთან, ყველა მოსკოვის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა, რაც მომხდარს მეტ სიმძაფრეს სძენდა. ვინ მოისურვებდა ჩამოსვლას ქვეყანაში, სადაც კუპეში კლავენ ოთხ ქალს და თან აუპატიურებენ“, – პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი იმ ისტორიას გვიყვება, რომელსაც საიდუმლო გრიფი კარგა ხანს ედო.

ექსპერტიზის დასკვნით, ქალები მაშინ დახოცეს, როცა მათ საქართველოს საზღვარი დატოვეს, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ ექსპერტები ერთხმად, ჯიუტად ამბობდნენ – მკვლელობა ერთმა ადამიანმა ჩაიდინა და ქალებიც მხოლოდ ერთმა გააუპატიურაო. დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში, თანაც გაუკუღმართებული წესით ოთხი ქალის გაუპატიურება და მოკვლა ერთი კაცისთვის წარმოუდგენელი ჩანდა. რაც მთავარია, ქალები გაუპატიურების მომენტში, ცოცხლები ყვნენ.

ექსპერტების ვერსიით, დამნაშავემ ისინი თავში ბლაგვი საგნის დარტყმით გათიშა, შემდეგ კი გააუპატიურა. როცა რომელიმე აზრზე მოვიდოდა, მას თავში კვლავ ბლაგვი საგანი ხვდებოდა. სავარაუდოდ, ეს იყო მიზეზი, რომ ერთ-ერთ ქალბატონს თავის ქალა სხვებზე მეტად ჰქონდა დაზიანებული ანუ ის ყველაზე გვიან მოკლეს.

მატარებლის გამცილებლები კი არ დაკითხეს, ლიმონივით გაწურეს და მოსთხოვეს, აღედგინათ ყველა მგზავრი, რომელიც იმ დღეს უბილეთოდ ავიდა მატარებელში. იმ ვაგონის ორმა გამცილებელმა თქვა, რომ მათთან მხოლოდ ერთი მგზავრი იყო უბილეთო, ახალგაზრდა, ასე, 23-25 წლის მამაკაცი, თუმცა გამორიცხული იყო, მას ქალები მოეკლა. გამცილებლების თქმით, ეს ბიჭი, დაახლოებით, მეტრანახევარი სიმაღლის იქნებოდა და იმის მიუხედავად, რომ ჯანმრთელი სხეული ჰქონდა, მეტრანახევრიანი კაცისგან ასეთი ამბავი, მაინც დაუჯერებლად ჩანდა.

ხანგრძლივი დაკითხვის შემდეგ, გაირკვა – გამცილებლებმა ისეთი ვერავინ გაიხსენეს, ვინც შესაძლოა, საეჭვო ყოფილიყო. მგზავრთა დიდი ნაწილი დამსვენებელი გახლდათ და რაც მთავარია, თითქმის ყველა, ოჯახთან ერთად მოგზაურობდა. დაიწყეს ბილეთიანი მგზავრების შესწავლა, მათ შორის, ორი ისეთი ნახეს, რომლებიც ადრე ნასამართლევები იყვნენ, თუმცა ორივეს ზედმეტად მყარი ალიბი ჰქონდა. საქმე ჩიხში შევიდა და ეს მაშინ, როცა ნიკოლაი შჩოლოკოვი და იური ანდროპოვი (საბჭოთა კავშირის შს და უშიშროების მინისტრები) საქმის გამოძიებას უმოკლეს დროში ითხოვდნენ და ხელქვეითები საშინელ წნეხში ჰყავდათ.

მომხდარიდან ერთი კვირის შემდეგ, იმავე სოჭში, კიდევ ერთი გაუპატიურებული ქალის ცხედარი იპოვეს. მასაც თავში ბლაგვი საგანი ჰქონდა ჩარტყმული და გაუკუღმართებული წესით იყო ძალადობა განხორციელებული. ყველაფერი სერიულ მკვლელობას ჰგავდა და სამართალდამცავებმა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ადრე, ანალოგიურ დანაშაულზე დაკავებულთა პირადი საქმეების შესწავლა დაიწყეს. ანალოგიურ სისასტიკეს ვერსად მიაგნეს, თუმცა ერთი საქმით დაინტერესდნენ, რომელიც 17 წლის ბიჭს ეხებოდა. ვლადიკავკაზის მაცხოვრებელი, ვინმე ანატოლი ნაგიევი, 17 წლის იყო, როცა გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს და მას ქალთან კავშირი გაუკუღმართებული წესით ჰქონდა. რაც მთავარია, ის ძალიან დაბალი იყო, ციხიდან სულ რაღაც სამი თვის გათავისუფლებული და იმ დროისთვის, 23 წლის გახლდათ. ნაგიევის ფოტო მატარებლის გამცილებლებს ანახეს და მათ დაადასტურეს, რომ იმ საბედისწერო დღეს, უბილეთო მგზავრთა შორის, სწორედ ეს პიროვნება იმყოფებოდა.

ნაგიევზე თვალთვალი გადაწყდა, თუმცა საქმე იმდენად იყო კონტროლზე აყვანილი, რომ ნებართვა საბჭოთა კავშირის შს მინისტრ, შჩოლოკოვისგან ითხოვეს. მას სასაცილოდაც არ ეყო გამოძიების ვერსია, თუმცა სხვა ეჭვმიტანილი, უბრალოდ, არ არსებობდა და რა უნდა ექნა, თვალთვალის ნებართვა გასცა. ზუსტად მესამე დღეს, ნაგიევი მაშინ დააკავეს, როცა ისევ სოჭში, სადაც დეიდასთან ცხოვრობდა, ღამის საათებში, სკერში მიმავალ ქალს დაესხა თავს, თავში მუშტის ერთი დარტყმით გათიშა და ბუჩქებისკენ წაათრია. საქმეზე ორი ოპერმუშაკი იმყოფებოდა, ისინი იარაღით დაადგნენ ნაგიევს და ისიც მორჩილად გაჰყვა.

„პირადად მყავს ნანახი ანატოლი ნაგიევი. ეს იყო პატარა, მაგრამ უზადო სხეულის მქონე ადამიანი. მას არ ჰქონდა ხორცი, მხოლოდ კუნთები ჰქონდა. მუშტს ისე იქნევდა, კაცს კი არა, ხარს წააქცევდა. ის ექიმებმა შეამოწმეს და დასკვნაც დადეს – მანიაკალური პოტენციის მქონე პიროვნება, რომელსაც აღგზნების პროცესში, ისედაც დიდი ძალა უორმაგდებოდა. რაც მთავარია, მან არა მარტო ის ხუთი მკვლელობა აღიარა, არამედ, დაასახელა კიდევ ორი ქალი, რომელიც მოკლა და... 18 გაუპატიურებული ქალბატონი. ყველაფერი ეს, არასრულ სამ თვეში. ის, უბრალოდ, ვერ ჩერდებოდა, არ შეეძლო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

აბა, რა ძნელი მისახვედრია, რომ სასამართლომ ნაგიევს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯა, თუმცა მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. სასამართლოდან ციხეში გადაყვანის დროს, „ვარონკა“ გაფუჭდა. ბადრაგმა, სხვა პატიმრებთან ერთად, ბორკილდადებული ნაგიევიც გადმოიყვანა მანქანიდან, მან კი ბორკილები გაწყვიტა, ბადრაგი წამის მეასედში გათიშა და გაიქცა. მასზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა. შჩოლოკოვი და ანდროპოვი ცოფებს ჰყრიდნენ და ყველა სამართალდამცავს, ვისაც ნაგიევის საქმესთან რაიმე კავშირი ჰქონდა, დაჭერით ემუქრებოდნენ, ამიტომ ისინი 24 საათის მანძილზე, გარეთ იყვნენ, რათა გაქცეული მოეძებნათ. ერთთვიანმა ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო, თუმცა ნაგიევის ფოტო ყველა განყოფილებაში, საჩვენებელ ადგილზე გახლდათ გამოკრული.

„არის ასეთი სოფელი იანოვო. იქაურმა მაცხოვრებელმა მილიციაში განცხადება დაწერა, ჩემს სახლთან თივის ზვინი მაქვს, იქ ვიღაც ბოშა ქალი დასახლდა, გარეთ იშვიათად გამოდის, ზვინში სახლი მოიწყო და გთხოვთ, ზომები მიიღოთ, მე ბოშების მეშინია, ჯადოს გამიკეთებენო. რაღა თქმა უნდა, ასეთ მარტივ საქმეზე სოფლის რწმუნებული გაუშვეს, თუმცა უკან, საინტერესო ამბით დაბრუნდა. მან დაინახა, როგორ გამოვიდა ზვინიდან ბოშა ქალი და... როგორ მოშარდა ფეხზე მდგარმა. ესე იგი, თივის ზვინში, ქალის ფორმაში გადაცმული კაცი ცხოვრობდა და ამ კაცის სიმაღლე... მეტრანახევარს არ აღემატებოდა. მის დასაკავებლად 40-კაციანი ბრიგადა გავიდა. მათ შორის, ორი ჩემი უახლოესი მეგობარიც იყო და საბოლოოდ, დეტალები სწორედ მათ მიამბეს“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გეგმა ასეთი იყო – ზვინის ბინადარი თივაში რომ შეიმალებოდა, ალყა უნდა შემოერტყათ და დანებება შეეთავაზებინათ, თუმცა სავარაუდოდ, საფრთხის წინათგრძნობამ იმუშავა და ზვინის ნაცვლად, ეჭვმიტანილმა ტყისკენ მოკურცხლა. უკვე ცხადი იყო, საქმე კაცთან ჰქონდათ, რადგან არ ჰგავდა ეს ქალის სირბილს. 40 სამართალდამცავი უკან მიჰყვა და რამდენიმემ ჰაერშიც გაისროლა. გაქცეული გაჩერდა, ხელები მაღლა ასწია და ნელა შემობრუნდა. მილიციელთა წინაშე, ანატოლი ნაგიევი იდგა.

რა მოხდა მერე? არც არაფერი, ჯგუფის მეთაურმა იარაღი შემართა, დანარჩენებმაც მას მიბაძეს და როცა ჩუმი, მაგრამ მკაცრი ბრძანება – „ცეცხლი“ გაისმა, 40-მა „მაკაროვმა“ ერთდროულად იგრიალა. ნაგიევი ადგილზე მოკლეს და იმის მიუხედავად, რომ ექსპერტმა სხეულიდან „მხოლოდ“ ორი ტყვია ამოუღო, ძალოვანებმა კარგად იცოდნენ, მის ტანში, მინიმუმ, 30 ტყვია იყო ჩაჭედილი. ორი ტყვია საბჭოეთს საერთაშორისო ასპარეზისთვის სჭირდებოდა, მერე ევროპასა და აშშ-ს რომ არ ეთქვათ, საბჭოთა კავშირში, დამნაშავეებს პირდაპირ გარეთ ხვრეტენო.

ბოშების დასახლებაში დედა-შვილი ჯერ მოკლეს, შემდეგ კი დაწვეს

რატომ ჩაიდინეს საშინელი დანაშაული 16 წლის ბიჭებმა

ბათო ჯაფარიძე

იმ ადამიანებმა, რომელთაც საბჭოთა კავშირის დროს მოუწიათ ცხოვრება, კარგად იციან, რომ მაშინ სექსი არ არსებობდა. ჰო, ასე იყო ოფიციალურად გამოცხადებული, რომ „საბჭოთა კავშირში სექსი არ არსებობს“. რაღა თქმა უნდა, რეალობა სავსებით სხვაგვარი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 37-მანეთიანი ბილეთები ლეგენდად შემორჩათ ქართველ მამაკაცებს.

„რუსთავის გასასვლელში, ერთი პატარა დასახლება იყო. ახლა იქ ბოშები ცხოვრობენ, ადრე კი რუსების 10-12 ოჯახი ცხოვრობდა. ერთ დღეს, ამ დასახლებაში სახლი დაიწვა და სახლთან ერთად, მისი პატრონი – 40 წლამდე ქალიც დაიწვა. მეზობლებმა ივარგეს, სახანძროს მისვლამდე ჩააქრეს ცეცხლი და სხეული სრულად დაწვას გადაარჩინეს. სამართალდამცავთა ჩარევაც ამის შემდეგ გახდა საჭირო. გარდაცვლილს თავზე ბასრი საგნით, სავარაუდოდ, ნაჯახით, რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მეზობლების თქმით, გარდაცვლილს 16 წლის ბიჭი ჰყავდა, მაგრამ შვილი არსად ჩანდა. სამართალდამცავებმა მისი ძებნაც დაიწყეს და ადგილობრივების გამოკითხვაც, რადგან დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნის შანსი არსებობდა. მკვლელობა რომ ქურდობის გამო არ მოხდა, ისიც მოწმობდა, რომ ქალის საფულე, სადაც 30 მანეთი იდო, გამოსაჩენ ადგილზე ეგდო და მას ქურდები ხელს აუცილებლად გააყოლებდნენ. ერთ-ერთმა მეზობელმა თქვა, მაგის ბიჭი მარიასთან იქნებაო. მარია სოფლის განაპირას ცხოვრობდა, მარტოხელა ქალი იყო და როგორც სოფლელები ამბობდნენ, 16 წლის ბიჭი საყვარლად გაიხადა. მარია გამომძიებლებს შინ დახვდა, მშვიდად მოისმინა შეკითხვა, მერე კი თქვა, ბიჭი არ მინახავს, რაც შეეხება საყვარლობას, თავისუფალი ქალი ვარ, მეგობარი მამაკაცი მინდოდა და ასეთი, სწორედ ის ბიჭი იყოო.

არასრულწლოვანთან კავშირის გამო, ქალის დაკავება შეიძლებოდა, მაგრამ სამართალდამცავებს ახლა ამისთვის არ ეცალათ. ისინი მკვლელს ეძებდნენ და ეჭვი ჰქონდათ, ბიჭმა რაღაც იცოდა.

დაახლოებით, ორ საათში, ერთ-ერთმა მეზობელმა ბიჭი სოფლის განაპირას მდგარ დანგრეულ, ე.წ. საქვაბეში აღმოაჩინა. ისიც თავგაჩეხილი ეგდო და მის გვერდით იპოვეს მკვლელობის იარაღიც – ნაჯახი, რომელსაც სისხლი ჰქონდა შემხმარი. მოგვიანებით ექსპერტი იტყვის, რომ ამ ნაჯახით მოკლეს ქალიც, რადგან მის პირზე, დედის სისხლიც იყო. ახლა იმის დადგენა იყო საინტერესო, საიდან მოხვდა ბიჭი საქვაბეში, ან იქ ვის და რატომ გაჰყვა?

მკვლელობა, სავარაუდოდ, ღამის 2-3 საათამდე მოხდა ანუ მას შემდეგ, რაც სახლი დაიწვა. გამოდის, ბიჭმა იცოდა დედის სიკვდილი და ვიღაცას საქვაბეში გაჰყვა?

სამართალდამცავებმა, როგორც ქალის, ისე ბიჭის გარემოცვის შესწავლა დაიწყეს, მაგრამ ბევრი ვერაფერი გაიგეს. ბიჭს სულ ორი მეგობარი ჰყავდა, ორივე თანაკლასელი, ორივე მეზობლად ცხოვრობდა და იმ ღამეს, ორივეს მშვიდად ეძინა, როცა ხანძარი გაჩნდა, ორივე ტრუსების ამარა დარბოდა ცეცხლის ჩასაქრობად და ამის მხილველი მთელი დასახლება იყო.

დედას უფრო რთულად ჰქონდა საქმე – მისი ერთადერთი მეგობარი, სწორედ მარია იყო, მაგრამ როცა საკუთარ შვილს დაქალთან ლოგინში შეუსწრო, მეგობრობა გაწყვიტა და სჯეროდა, რომ შვილიც აღარ დადიოდა მარიასთან, თუმცა სამეზობლოს სხვა ინფორმაცია ჰქონდა. გამოდიოდა, ერთადერთი, ვისაც რაიმე შეიძლებოდა სცოდნოდა, სწორედ მარია იყო.

„არ მინდოდა, განყოფილებაში მიყვანით დამეძაბა, ამიტომ დასაკითხად შინ ვეწვიე. ჩაით გამიმასპინძლდა, შინაურულად მესაუბრა, შემდეგ ბოდიში მომიხადა და ოთახიდან გავიდა. უკან დაბრუნებულს თეთრი, გამჭვირვალე ხალათი ეცვა და სხეულის, პრაქტიკულად, ყველა ნაწილი გარკვევით მოუჩანდა. მოვალეობამ აჯობა ვნებას და დამიჯერე, არ იყო ეს მარტივი. მართლაც, საოცრად მიმზიდველი ქალი გახლდათ, 16 წლის ღლაპს კი არა, ეშმაკს აცდენდა. ჰო, სიტყვა გამიგრძელდა და, არაფერი იცოდა მარიამ, სახეზეც ეტყობოდა, არ იტყუებოდა და იმას უფრო წუხდა, ახალგაზრდა ბიჭი ასე უდროოდ რომ გამოეცალა ხელიდან“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

საქმე უიმედო ჩანდა და გამომძიებლებმა უბნის რწნუნებული დაკითხეს. მართალია, კითხვები მას მანამდეც დაუსვეს, მაგრამ ისე ჩანდა, თითქოს რაღაცას ბოლომდე არ ამბობდა. ამიტომ, განყოფილებაში დაიბარეს და დაკითხვას ოფიციალური სახე მისცეს. სწორედ იქ თქვა რწმუნებულმა, გარდაცვლილი ბიჭი და მისი ორი მეგობარი დასახლებაში არაყს ჰყიდდაო. ისინი დღისით რუსთავში მიდიოდნენ, რაღაც მანქანებით შოულობდნენ ე.წ. დაბეჭდილ არაყს და იმავე დღეს, სოფელში, ორი მანეთით ძვირად ჰყიდდნენ. საუბარი დღეში, მაქსიმუმ, 20 ბოთლზე იყო, თუმცა 40 მანეთი იმ დროისთვის სერიოზული თანხა გახლდათ.

გამოძიებით ისიც გაირკვა, რომ თავად ინსპექტორიც ერთ-ერთი მომხმარებელი იყო და ამიტომ, თვალს ხუჭავდა, თორემ მაშინ ეს დანაშაულად ითვლებოდა – ასეთ ადამიანებს „სპეკულიანტებს“ ეძახდნენ და სასჯელის ზომად ციხე იყო გათვალისწინებული. გამოძიებას სწორედ ის ორი მეგობარი უნდა „დაეპრესა“.

„ორიდან ერთი, აშკარად, ყოჩი იყო, აგდებულად გვპასუხობდა, არაყზე როცა ვკითხეთ, მხრები აიჩეჩა, ჭორია, პირველად მესმისო. მეორე შედარებით შეშნებული ჩანდა და სწორედ იმ შეშინებულის სათანადოდ დაკითხვა გადაწყდა. არასრულწლოვანობის გამო, დაკითხვას მშობელი და მასწავლებელი ესწრებოდნენ, მაგრამ იმდენი მოვახერხეთ, რომ წამოსცდა, მე მხოლოდ ცეცხლი წავუკიდე, არ მომიკლავსო. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილმა ქალმა არ იცოდა, რით იყო დაკავებული მისი შვილი და როცა გაიგო, მის მეგობრებს უთხრა, კიდევ თუ გავიგებ, რომ ჩემი შვილი „სპეკულიანტობაში“ გყავთ ჩაბმული, მილიციაში ჩემი ფეხით წავალო. გაგიკვირდებათ და, ქალის მოშორება სამეულმა გადაწყვიტა ანუ შვილიც დათანხმდა დედის მოკვლას, რადგან ის მარიასთან სიარულსაც უშლიდა და დღეში, მინიმუმ, 10 მანეთის გამომუშავების შესაძლებლობასაც ართმევდა.

დედის ხელფასი – თვეში 150 მანეთი, არაფერში ჰყოფნიდათ და ბიჭს ძალიან უჭირდა, დღეში თუმანმა კი წელში გამართა.

„თავს ვერ დავდებ, მაგრამ დაკითხვისას ორივემ აღიარა, რომ დედამისს ნაჯახი შვილმაც რამდენჯერმე ჩაარტყა, ბენზინის დასხმაშიც მიეხმარა ბიჭებს და ასანთიც თავად გაჰკრა. ეს იყო უმძიმესი მოსასმენი, მაგრამ ორივე დაკავებული ერთნაირად ჰყვებოდა ამბავს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მაშ, რა მოხდა შემდეგ, რატომ გაიმეტეს მოსაკლავად ბიჭი? გადაწყდა, რომ მკვლელობის იარაღი საქვაბეში უნდა დაემალათ, რადგან სახლი რომ დაეტოვებინათ, ნაჯახის პირი არ დაიწვებოდა და მილიცია, შესაძლოა, რამეს მიმხვდარიყო. აი, სახლს კი წესით ისე უნდა წაჰკიდებოდა ცეცხლი, ქალის გაჩეხილი თავის ქალა ფერფლად ექცია, მაგრამ მეზობლებმა ივარგეს. საქვაბეში მისულ დედის მკვლელს კი ისტერიკა დაეწყო, მერე აღიქვა, რა გააკეთა და იქვე თქვა, მილიციაში მივდივარ, დანაშაულს ვაღიარებ, ჩემს თავზე ავიღებ, თქვენ არაფერი დაგიშავდებათო.

მეგობრები მიხვდნენ, რომ ასე მარტივად არ იქნებოდა ყველაფერი და ბიჭი იქვე მოკლეს, უკან დაბრუნებულებმა კი დაინახეს, რომ სოფელი ცეცხლს აქრობდა. მაშინვე მოიფიქრეს – ტანზე გაიხადეს და ტრუსების ამარა მიეხმარნენ მეზობლებს, აქაოდა, ვითომ გვეძინა და ახლა გავიღვიძეთო. ამან, ერთი შეხედვით, გაამართლა, თუმცა ბოლოს ყველაფერი გაირკვა.

სასამართლომ დაკავებულებს, არასრულწლოვნობის გამო, 8-8 წელზე მეტი ვერ მიუსაჯა. სასჯელი ორივემ სრულად მოიხადა და ციხიდან ისინი ერთად გამოვიდნენ. თავისუფლებაზე ყოფნა დიდხანს რ დასცალდათ – ის, რომელიც ყოჩობდა, ორ თვეში, ყაჩაღობაზე დაიჭირეს და უკან შეაბრუნეს, მეორე კი ავარიით დაიღუპა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციის დროს მოძალადე კიდევ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელშეშლის, ძალადობით, ძალადობის მუქარით დევნისა და ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე კიდევ ერთი პირი – 2000 წელს დაბადებული ი.წ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ი.წ.-მ, მიმდინარე წლის 5 ივლისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, რევაზ თაბუკაშვილისა და გიორგი ჭანტურიას ქუჩების კვეთაზე, „ტვ პირველის“ ოპერატორს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ამავე ფაქტზე, სამართალდამცველებმა, ორი პირი დააკავეს – 14 ივლისს, 1988 წელს დაბადებული ვ.ბ., ხოლო 17 ივლისს – 1997 წელს დაბადებული ნ.გ., ბრალდებულებმა „ტვ პირველის“ ოპერატორს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე -2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

5-6 ივლისს გამართული აქციების მიმდინარეობის დროს, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელშეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე, სულ დაკავებულია 26 პირი, კერძოდ:

- **ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელშეშლის, ჯგუფური ძალადობისა და ძალადობის მუქარით დევნის ფაქტებზე დაკავდა 22 პირი;**
- **„თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევისთვის, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევის ფაქტზე დაკავებულია 3 პირი;**
- **1 პირი კი პოლიციამ მოქალაქის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის დააკავა.**

დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-დაკავების მიზნით, გრძელდება საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, 1987 წელს დაბადებული ფ.ა. ფონიჭალაში დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული უკანონოდ ეწეოდა ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციას და 2021 წლის 10 ივლისს, ფონიჭალაში, სწორედ მან გაასაღა „ტვ პირველის“ ოპერატორ ალექსანდრე ლაშქარავასა და მის თანმხლებ პირებზე, ნარკოტიკული საშუალება – ჰეროინი.

სამართალდამცველების მიერ, საქმეზე არაერთი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა: დაიკითხა ათეულობით მოწმე, ჩატარდა მათთან ამოცნობები, დათვალიერდა არაერთი ვიდეოჩანაწერი და მიღებულ იქნა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნები. საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, სამართალდამცაველებმა ბრალდებული 17 ივლისს, ფონიჭალის დასახლებაში დააკავეს.

პოლიციამ, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული, ოთხ შეკვრად დაფასოებული, ხოლო საცხოვრებელი ბინიდან – სამ შეკვრად დაფასოებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით.

პოლიციამ ბოლო პერიოდში, თბილისის მასშტაბით, ნარკოდანაშაულისთვის 28 პირი დააკავა – ამოღებულია 1 კილოგრამზე მეტი სხვადასხვა სახის ნარკოტიკი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ორი თვის განმავლობაში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, ფონიჭალის დასახლებასა და თბილისის სხვადასხვა რაიონში, 20 ნარკორეალიზატორი დააკავეს, ხოლო 8 პირი დაკავებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვისთვის.

ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულნი არიან: 1986 წელს დაბადებული ი.ს., 1991 წელს დაბადებული ე.შ., 1987 წელს დაბადებული ა.ჯ., 1985 წელს დაბადებული ს.კ., 2002 წელს დაბადებული ფ.მ., 1999 წელს დაბადებული ა.კ., 1983 წელს დაბადებული პ.მ., 1999 წელს დაბადებული ვ.ჯ., 1991 წელს დაბადებული კ.გ., 1998 წელს დაბადებული ი.კ., 1998 წელს დაბადებული ე.მ., 1979 წელს დაბადებული გ.ს., 1988 წელს დაბადებული ლ.გ., 1995 წელს დაბადებული გ.მ., 1994 წელს დაბადებული გ.ბ., 1993 წელს დაბადებული ი.მ., 1983 წელს დაბადებული დ. ს., ინდოეთის მოქალაქე – 1997 წელს დაბადებული პ. მ., 1979 წელს დაბადებული რ.ჯ., 1976 წელს დაბადებული დ.კ., 1995 წელს დაბადებული ფ.ი., 1974 წელს დაბადებული ბ.რ., 1996 წელს დაბადებული კ.ვ., 1987 წელს დაბადებული ფ.ა., 1980 წელს დაბადებული ე.პ., 1998 წელს დაბადებული შ.ა., 1967 წელს დაბადებული ჰ.ა. და 1983 წელს დაბადებული რ.ა.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული ნარკორეალიზატორები სისტემატურად ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციას.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალებების – „ჰეროინისა“ და „ალფა-პვპ“-ს საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ნარკორეალიზაციის შედეგად მიღებული ფული და მობილური ტელეფონები ნივთმტკიცებად ამოიღო. ასევე, ამოღებულია 1 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. ერთ-ერთი ბრალდებულის – დ.კ.-ის პირადი ჩხრეკისას კი ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის” 129 აბი და აბის 2 ნატეხი.

სამართალდამცველებმა, ერთ-ერთი დაკავებულის – ბ.რ.-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს პისტოლეტის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, მაყუჩი და 5 საბრძოლო ვაზნა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებისა და ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი, მე-4 და მე-6 ნაწილებით და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ ვარკეთილში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ვარკეთილში მომხდარ დაჭრის ფაქტზე, 1978 წელს დაბადებული მ.დ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, ვარკეთილში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მეგობარი -1978 წელს დაბადებული კ.მ., ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, ქვედა კიდურის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სამართალდამცველებმა მ.დ., მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – გლუვლულიანი თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 118-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ჩაიკოვსკის მუსიკა რუსეთის ჰიმნის ნაცვლად

იმის გამო, რომ წინა და იმის წინა ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, არაერთ რუს სპორტსმენს დოპინგის მოხმარება დაუდგინდა, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უმკაცრესი ზომები მიიღო. თუ აქამდე, რუსეთის სახელით, ათასობით ოლიმპიელი გამოდიოდა, ახლა ოლიმპიადაზე, მხოლოდ 130 რუსი სპორტსმენია წარდგენილი და რაც მთავარია, მათ არც წარწერის, არც გერბის და არც დროშის გამოყენების უფლება არ აქვთ. მათ მაისურებზე ეწერებათ ROC – რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის აბრევიატურა, თუმცა სრული წარწერის განთავსება აკრძალულია. რომელიმე რუსი სპორტსმენის გამარჯვების შემთხვევაში, აღიმართება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშა, რუსული ჰიმნის ნაცვლად კი... ჩაიკოვსკის მუსიკა გაჟღერდება.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – იაპონიაში, ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად ჩასული 130 სპორტსმენიდან, უკვე ორი უკან გამოაბრუნეს. მათ... დოპინგის მოხმარება დაუდგინდათ. ვერონიკა ანდრუსენკო და ალექსანდერ კუდაშევი, ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან შეთანხმებით მოკვეთა და დაადასტურა, მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტოს აქვს მტკიცებულებები, რომ მათ დოპინგი ჰქონდათ მიღებული.

დონარუმამ „მილანს“ მილიონები ამჯობინა

22 წლის ჯანლუიჯი დონარუმა, იტალიის ნაკრებთან ერთად, ევროპის ჩემპიონი გახდა და შინ დაბრუნებულმა კლუბიც გამოიცვალა. 22 წლის კიპერი, „მილანის“ საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია, ამ კლუბის ღირსებას 16 წლიდან იცავს, თუმცა მიმდინარე სეზონის ბოლოს, მას კონტრაქტი დაუმთავრდა და ახალი ხელშეკრულება არ გაუფორმეს – დონარუმას მიერ მოთხოვნილი ჯამაგირი, წლიური 10 მილიონი ევრო, იტალიელებმა ვერ გადაიხადეს.

სამაგიეროდ, ამ თანხის გადამხდელი ფრანგული „პარი სენ ჟერმენი“ აღმოჩნდა და დონარუმამ პარიზულ კლუბთან კონტრაქტი 2026 წლამდე გააფორმა. ამ 5 წლის განმავლობაში, ის სუფთა ხელფასის სახით, 50 მილიონ ევროს მიიღებს, ამას დაემატება ბონუსები და პრემიალური თანხები იმ შემთხვევაში, თუ „პსჟ“ ჩემპიონთა ლიგას მოიგებს.

ფიფა ფეხბურთს კლავს

მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანო ისეთი ცვლილებების მიღებას აანონსებს, რომ ფეხბურთის გულშემატკივრები უკვე ხმამაღლა აცხადებენ, ეს ფეხბურთი აღარ იქნება და მაყურებელს დაკარგავსო. არადა, ფიფას მესვეურებს მიაჩნიათ, რომ ეს ცვლილებები შეხვედრებს უფრო სანახაობრივს გახდის და გულშემატკივარსაც უფრო მეტად მიიზიდავს. მაშ ასე, საუბარა შემდეგ ცვლილებებზე:

– მატჩი ორ, 30-წუთიან ტაიმად იყოფა, დრო „სუფთაა“ და ისევე, როგორც კალათბურთსა და ფუტძალში, პაუზის დროს გაჩერდება.

– შეცვლების რაოდენობა განუსაზღვრელი იქნება.

– იმისთვის, რომ უფრო მეტი სახიფათო მომენტი შეიქმნას, აუტიდან ბურთს ფეხით შეიტანენ.

– ყვითელი ბარათის მიღების შემდეგ, ფეხბურთელს 5 წუთით გააძევებენ.

ვერ გეტყვით, დაამტკიცებს თუ არა ფიფა ამ ცვლილებებს, მაგრამ აღნიშნული წესები უკვე გადაგზავნილია შესაბამის კომიტეტებში და მათი განხილვა მიმდინარეობს.

პრემიალურებით საქართველო მესამეა

საქართველო

GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული თითოეული სპორტსმენი მილიონ ლარს მიიღებს. არ გეგონოთ, რომ აღნიშნული თანხა სხვა ქვეყნების მიერ დამტკიცებული ჯილდოების საპირწონე ვერაა – პირიქით, საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული პრემიალური თანხა, სიდიდით მესამეა მსოფლიოში. გთავაზობთ, იმ ქვეყნების ჩამონთვალს, სადაც ოლიმპიური ოქრო, მინიმუმ, ათი ათას დოლარად დააფასა მთავრობამ:

სინგაპური – 1 000 000 დოლარი;
ინდონეზია – 746 000 დოლარი;
საქართველო – 318 000 დოლარი;
ყაზახეთი – 250 000 დოლარი;
აზერბაიჯანი – 248 000 დოლარი;
იტალია – 166 000 დოლარი;
უნგრეთი – 125 000 დოლარი;
რუსეთი – 61 000 დოლარი;
საფრანგეთი – 55 000 დოლარი;
აშშ – 37 500 დოლარი;
გერმანია – 22 000 დოლარი;
კანადა – 15 000 დოლარი;
ავსტრალია – 13 800 დოლარი.

რადგან ოლიმპიადაზე ვსაუბრობთ, იმასაც გეტყვით, რომ ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, გამარჯვებული სპორტსმენები მედლებს საკუთარი ხელით დაიკიდებენ. საქმე ისაა, რომ კოვიდ-პანდემიის გამო, იაპონიაში უმკაცრესი შეზღუდვები მოქმედებს და აღნიშნული გადაწყვეტილება, სწორედ შეზღუდვებითაა განპირობებული. ადამიანებს ერთმანეთთან, რაც შეიძლება, ნაკლები კონტაქტი უნდა ჰქონდეთ და იმავე ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ოლიმპიადა უმაყურებლოდ ჩაივლის. ვარაუდობდნენ, რომ შესაძლებელი იყო, ტრიბუნებზე მაყურებელთა 10% მაინც დაეშვათ, მაგრამ ახლა ესეც გამოირიცხა – ტრიბუნები სრულად ცარიელი იქნება.

ომი წერილებით და შინ დარჩენილი ოლიმპიელი

ვისი ბრალია, ოქსანა კალაშნიკოვას ოლიმპიადის მიღმა დატოვება?

წლებია, ოქსანა კალაშნიკოვა სხვადასხვა საჩოგბურთო ტურნირზე გამოდის და საქართველოს ღირსებას იცავს. როგორც ახლა ირკვევა, ოქსანამ ტოკიოს ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა, მაგრამ ოლიმპიადაზე ვერ მიდის. მიზეზების გარკვევა თავად ჩუგბურთელს არ უცდია, მან სოციალურ ქსელში, უბრალოდ, მოკლე წერილი გამოაქვეყნა:

„ძალიან სევდიანი ამბავია, როცა გაიგე, რომ ოლიმპიდიაზე ასპარეზობის უფლება მოიპოვე, მაგრამ ვერ მიდიხარ, რადგან განაცხადი არ გაუგზავნიათ. ოლიმპიდიაზე ასპარეზობა ჩემი ოცნება იყო, თუმცა ახლა მხოლოდ ტირილი მსურს. არ ვიცი, რა მოხდა რეალურად, ოფიციალური პასუხი არავისგან მიმიღია, მაგრამ ფაქტია, რომ განაცხადი არ გააგზავნეს. ყველა ქვეყანაში ამაყობენ, როცა მათი ქვეყნის მაქსიმალურად ბევრი სპორტსმენი ოლიმპიდიის ლიცენზიას იღებს, მაგრამ საქართველო მათ შორის არაა“, – წერს კალაშნიკოვა.

ჩოგბურთელს ფედერაციამ უპასუხა და... ხელი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისკენ გაიშვირა:

„საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია ეხმაურება ქართველი ჩოგბურთელის, ოქსანა კალაშნიკოვას განცხადებას, ტოკიოს ოლიმპიადაზე, წყვილთა თანრიგში მის მონაწილეობასთან დაკავშირებული გაუგებრობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან მიიღო ნიკოლოზ ბასილაშვილისთვის ლიცენზია – ერთეულთა თანრიგში. მიუხედავად მიღებული ერთი ლიცენზიისა, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს, დათქმულ ვადაში მიაწოდა ოლიმპიური ლიცენზიანტების გაფართოებული სია, რის შემდეგაც, საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა, ნიკოლოზ ბასილაშვილის განაცხადთან ერთად, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს წარუდგინა პოტენციური ოლიმპიელების კანდიდატურები. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, რომლებიც მრავალი წელია, აღნიშნულ საქმეს ემსახურებიან და კარგად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. აქედან გამომდინარე, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია იმედს იტოვებს, რომ ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა პირნათლად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, ყველა წესის დაცვით წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, უმოკლეს დროში დაადგენს და ყველა დაინტერესებულ მხარეს აცნობებს, რა მიზეზით ვერ მიიღეს ქართველმა ჩოგბურთელებმა წყვილთა თანრიგში ოლიმპიური ლიცენზიები და რა კრიტერიუმებით მოხვდნენ ტოკიოს ოლიმპიადაზე, რეიტინგით ქართველებზე უკან მდგომი ნაკრები გუნდები“, – წერია ჩოგბურთის ფედერაციის განცხადებაში.

როგორც ჩანს, აღნიშნულმა წერილმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ) ძალიან გააბრაზა, თუმცა ოფიციალური კომენტარის ნაცვლად, მათაც წერილი გაავრცელეს:

„გავეცანით საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის განცხადებას ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე, წყვილთა თანრიგში, ქართველ ჩოგბურთელ ქალთა ლიცენზირებასთან დაკავშირებით, რომელსაც წინ უძღოდა ჩვენი ჩოგბურთის ერთ-ერთი ლიდერის, ოქსანა კალაშნიკოვას გულწრფელი წუხილი იმის თაობაზე, რომ „განაცხადი არ გააგზავნეს“ და ამის გამო, თავის მეწყვილესთან ერთად, ვერ მიემგზავრება ოლიმპიადაზე. ჩვენთვის გასაგებია კალაშნიკოვას ემოციური დამოკიდებულება შექმნილი რეალური ვითარების გამო, როცა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ოლიმპიური ლიცენზია მიენიჭათ ჩოგბურთელებს, რომლებიც ოფიციალური რეიტინგით ჩამორჩებიან ქართულ წყვილს. იმის ნაცვლად, რომ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციისთვის მიემართა და შესაბამისი განმარტება მოეთხოვა, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია თითს სეოკ-ისკენ იშვერს – ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ და ოლიმპიურმა კომიტეტმა „უმოკლეს ვადაში“ უნდა დაადგინოს, ამ გაუგებრობაში რატომ აღმოვჩნდითო.

ფედერაციას საქმის გაკეთებად ის მიაჩნია, რომ სეოკ-ს გამოუგზავნა პოტენციური ოლიმპიური ლიცენზიანტების გაფართოებული სია, რომელიც სეოკ-მა, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ მიაწოდა ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს, დადგენილი ფორმითა და წესით. ეს გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ მარტში მოხდა, ვიდრე ეს ფედერაციის განცხადებაშია მითითებული. მოგვიანებით, 16 ივნისს, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ თავის წევრ ორგანიზაციას – საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას, მისი პრზიდენტის, ხვიჩა მაქაცარიას სახელზე გამოგზავნილი წერილით აცნობა (წერილის ასლი სეოკ-მაც მიიღო), რომ ქართველთაგან, მიმდინარე რეიტინგის თანახმად, ოლიმპიური ლიცენზია მხოლოდ ნიკოლოზ ბასილაშვილს ერგო. იქვე განმარტებულია წყვილთა თანრიგში ლიცენზიების განაწილების კრიტერიუმები.

უტყუარი ფაქტია, რომ ქართული წყვილი იმ მომენტისთვის საერთაშორისო ფედერაციის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდა და ამიტომაც არ შეიყვანა ლიცენზიანტთა სიაში. სეოკ-ს არავითარი უფლებამოსილება არ ჰქონდა, მიემართა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციისთვის და მოეთხოვა ჩვენი წყვილისთვის ლიცენზიის მინიჭება. რა მოხდა 16 ივნისის შემდეგ, რომელი წესისა და დებულების საფუძველზე განაწილდა ლიცენზიები წყვილთა თანრიგში, ეს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეროგატივაა და თუ რაიმე არასწორად გაკეთდა, პასუხი, უპირველესად, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ უნდა მოითხოვოს. თავის მხრივ, სეოკ-ი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული, რაც შეიძლება, მეტი ქართველი სპორტსმენი წარსდგეს ოლიმპიურ თამაშებზე, შესაბამისად, მოუწოდებს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას, გადადგას ადეკვატური ნაბიჯები და თუ ამის შანსი და საფუძველი ჯერ კიდევ არსებობს, ზემდგომი ორგანიზაციისგან მოითხოვოს ლიცენზიის გადმოცემა.

დიახ, ეს არის საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პირდაპირი მოვალეობა. ოლიმპიურ ლიცენზიების ანაწილებს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია და ამასთან არანაირი პირდაპირი კავშირი არა აქვს არც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და არც თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს, მით უმეტეს, არც სეოკ-ს. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტი მხოლოდ კვოტებს აწესებს სპორტის ოლიმპიური სახეობებისთვის, დანარჩენი კი შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილი წესებით რეგულირდება. მოკლედ, ოქსანა კალაშნიკოვამ, ჩოგბურთის გულშემატკივრებმა, ყველა დაინტერესებულმა მხარემ, სწორედ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციისგან უნდა მოვითხოვოთ პასუხი კითხვაზე: რატომ გაჩნდა ეჭვები ქართული წყვილის მიმართ მიღებულ, შესაძლო უსამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და რა ზომებს მიმართა ჩვენმა ფედერაციამ ამ საკითხის გასარკვევად“, – ნათქვამია სეოკ-ის განცხადებაში.

ნამდვილად ვერ გეტყვით, ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ სპორტსმენმა ოლიმპიური ლიცენზია მიიღო, მაგრამ ოლიმპიადას მხოლოდ ტელევიზიით მიადევნებს თვალს.

გურამ რჩეულიშვილის სამი ნოველა

სიქსტის მადონა მოსკოვში

სიქსტის მადონა დიდი, ჭკვიანი თვალებით უყურებდა მომავალს, ხელში ბავშვი ეჭირა. ბავშვი არა ტიროდა. გარეშემო ანგელოზები დაფრინავდნენ, ქვევით, მოხუცი ღმერთს შესთხოვდა რაღაცას. თავზე ყველას შარავანდედი ედგა.

იდგა სიქსტის მადონა და მომავალს უყურებდა, ხელში ბავშვი ეჭირა. ბავშვი არა ტიროდა.

– გენიალური ნახატია, – თქვა ვანომ.

ვასო გაწითლდა.

– რაფაელს მაგაზე კარგი არაფერი შეუქმნია, – თქვა ისევ ვანომ.

ვასოს ფერი დაუბრუნდა.

ვანო გარჩევას განაგრძობდა.

სხვები ისხდნენ.

ვიღაცა მოჭუტული თვალებით უყურებდა სურათს.

– ჩქარა წაიღებენ დრეზდენში.

– ჰო, ჩქარა,

– ნეტა, აქ დატოვონ.

– აბა!

– რა გენიალურია, არა?

– შესანიშნავი.

ოთახი ჭვრეტდა მადონას.

სიქსტის მადონა კი იდგა და დიდი, ჭკვიანი თვალებით უყურებდა მომავალს. ხელში ბავშვი ეჭირა.

ოთახი ჭვრეტდა მადონას.

ზოგი მიდიოდა: უმეტესობა რჩებოდა სამზერლად.

ახლა, სურათის წინ, ჯიშიანი სლავის ქალი იდგა. უაზრო თვალებით უყურებდა სურათს, მერე თქვა.

– გენიალურია.

– დიახ, დიახ.

– ეს სურათი რაფაელმა დახატა მიქელანჯელოს მიერ მოხატული სიქსტის კაპელასათვის.

– მიქელანჯელო საერთოდ მოქანდაკე იყო.

– პაპის ბრძანებით დაიწყო ხატვა.

– რენესანსი, ეს რენესანსია.

ჩაება დარბაზი ახსნაში.

სლავი ქალი იღიმებოდა და უყურებდა სიქსტის მადონას. თითქმის ვეღარა ხედავდა, არც ამხსნელებს უგდებდა ყურს.

სიქსტის მადონა კი, იდგა და დიდი, ჭკვიანი თვალებითა ჭვრეტდა მომავალს.

– მშვენიერი ბავშვია, – თქვა ქალმა.

– აბა, არა ტირის, – გაიღიმა ვიღაცამ.

– წავიდეთ იქით, – თქვა ისევ ქალმა და ხანშიშესულ კაცს ხელი გამოუყარა.

წავიდნენ.

დარბაზმა თვალი გააყოლა.

ქალები აიმრიზნენ.

სიქსტის მადონა კი იდგა, დიდი, ჭკვიანი თვალებითა ჭვრეტდა მომავალს. ხელში ბავშვი ეჭირა. ბავშვი არა ტიროდა. ზედ შარავანდედი ედგა და გარეშემო ანგელოზები დაფრინავდნენ. მოხუცი შესთხოვდა ღმერთს რაღაცას.

– ჩქარა წაიღებენ დრეზდენში. – თქვა ვანომ.

– ჰო, ერთ კვირაში. – მოაგონდა გაზეთში ამოკითხული ვასოს.

– ეჰ! – ამოიოხრა ვანომ.

მძინარე ვენერა

– გამოიღე ცხვირიდან ხელი.

– რათა?

– სირცხვილია.

ვანკამ გამოიღო.

– ვა, რა ქალია! – თქვა პეტიამ.

– აბა?

– აგერ.

– სძინავს.

– მგონი.

– ჰო.

ბიჭები ახლოს მივიდნენ.

– ნახე, ხელი სად უდევს, – ახლა პეტიამ შეიყო ცხვირში ხელი.

– ალბათ, ბოზია, – თქვა ვანკამ.

– ხედავ, – სძინავს.

პეტიამ უფრო ღრმად შეიყო ხელი ცხვირში, მერე უფრო ახლო მივიდა ნახატთან.

– მშვენიერი რეპროდუქციაა, – თქვა გვერდზე ვიღაცამ.

– აბა! ნამდვილი ანგელოსია, მძინარე.

– საერთოდ „მძინარე ვენერას“ მშვენიერი რეპროდუქციები არსებობს, – თქვა მეორე ვიღაცამ.

– მძინარე ანგელოსია, – ისევ გაიმეორა პირველმა.

– აი, დედაკაცი! – თავი მოიქექა ვანკამ.

* * *

ანეკდოტი: ძველი... მახსენდება ხშირად... მიყვარს:

ღობეზე პატარა ბიჭია მიყუდებული და ტირის. ვიღაცა კაცი ვიღაცა კაცს ელოდება. დადის. მერე დაიხარა და ჰკითხა:

– ბიჭიკო, ბიჭიკო, რა გქვია?

ბავშვმა ზლუქუნი შეწყვიტა.

– პეტოი.

კაცმა წინ და უკან სიარული განაგრძო, ცოტა ხნის მერე ისევ შეეკითხა:

– ბიჭიკო, ბიჭიკო, რა გქვია?

– პეტოი.

ორჯერ კიდევ შეეკითხა და მიეფერა კაცი. ბოლოს, ისევ დაიხარა:

– ბიჭიკო, ბიჭიკო, რა გქვია?

– სუ მუდამაც პეტოი, – ისევ აზლუქუნდა პატარა.

პაბლო პიკასო

გენიალური მხატვარია პიკასო.

– ჰო, პაბლო პიკასო, შესანიშნავი.

– მაგის ნახატი 1905-ში არაფერი ღირდა. ახლა მილიონები ღირს.

– საერთოდ მაგისი ფერები!

– აბა, აბა!

– იგი შინაგანად ხატავს.

იგორმა ხელი გამოუყარა ვალიას, მეორე მხრიდან ლიონამ გამოსდო ხელკავი. უკან ვასილი და პეტრე მიჰყვნენ.

– საერთოდ იმპრესიონიზმი, – დაიწყო პეტრემ.

– გენიალური მიმდინარეობაა, – თქვა ვასილიმ.

– ხო, ტონები, ეს შტრიხები.

– რა შტრიხები? – იკითხა ვალიამ.

– აი ეს, ასეთი, – თქვა პეტრემ.

– გენიალურია. – თქვა იგორმა.

დარბაზი 125 – ეწერა ერმიტაჟის გზამკვლევში, საერთო სიგრძე 22კმ, შეგროვება დაიწყო ვენერა ტავრიდელის ქანდაკებიდან, რომელიც ტავრიდის მახლობლად იპოვეს და პაპმა პეტრე პირველს გამოუგზავნა: ახლა ყველაფერი ეს იცოდა ვალიამ: ბიჭები არ ჩერდებოდნენ.

დარბაზის კუთხეში დიდ ტილოზე ყალყზე დამდგარი ცხენი ეხატა, აღვირი ქალს ეჭირა.

– მშვენიერია, არა? – თქვა გოგონამ.

– დიდებულია.

– მე ძალიან მომწონს, მართლა კარგია? – გულუბრყვილოდა თქვა გოგომ.

– გენიალურია.

– აი, ეგ შტრიხები.

– შენ განათება ნახე.

– დავიღალე, – თქვა გოგომ.

– წავიდეთ.

– კოკტეილ-ხოლში?

– არა, თეატრში.

– დავიღალე, – ისევა თქვა გოგომ.

მერე მიბრუნდა და ისევ ცხენს დაუწყო ყურება.

ცხენი ყალყზე იდგა:

აღვირი ქალს ეჭირა ხელში.

ვის აქვს ყველაზე გრძელი ენა?

ასეთი ადამიანი ინდოელია. მსოფლიოში ყველაზე გრძელი ენა 20 წლის მამაკაცს, პრავინს აქვს. მისი ორგანოს სიგრძე 10.8 სანტიმეტრია, რაც აქამდე მოქმედ რეკორდზე 0.7 სანტიმეტრით მეტია. ჯერჯერობით, ახალი რეკორდი გინესის რეკორდების წიგნის ინდოეთის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს. წინა რეკორდსმენი ამერიკელი ნიკ სტოუბერლია, რომლის ენის სიგრძეც 10.1 სანტიმეტრია. მანამდე კი ყველაზე გრძელი ენის პატრონად ბრიტანელი სტივენ ტეილორი ითვლებოდა – მისი რეკორდი 9.8 სანტიმეტრი იყო.

ბეზოსს კოსმოსში მოხუცი მიჰყავს

„ამაზონის“ დამფუძნებლის, ჯეფ ბეზოსის კოსმოსურ ვოიაჟს „ბლუ ორიჯინით“, მისი ძმის გარდა, კიდევ ერთი ადამიანი შეუერთდება. ეს 82 წლის უოლი ფანკია. ეს ქალბატონი უკვე 60 წელია, ორბიტაზე გასეირნებაზე ოცნებობს. ამ ოცნების ახდენის შემდეგ კი ყველაზე ასაკოვანი ადამიანი იქნება, რომელსაც კოსმოსში უფრენია. ქალბატონი ფანკი, საპატიო სტუმრის რანგში, პირადად ბეზოსმა მიიწვია. უოლის ბავშვობიდან ხიბლავდა ავიაცია და ამიტომ პროფესიადაც პილოტობა აირჩია. ის იყო პირველი ქალი-საჰაერო უსაფრთხოების ოფიცერი და პირველი ქალი-ინსპექტორი აშშ-ს ფედერალურ საავიაციო ადმინისტრაციაში. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ფანკი ჯერ კიდევ 1961 წელს ჩაეწერა NASA-ს პროგრამაში -„ქალები კოსმოსში“ და შემოწმებაც წარმატებით გაიარა, გაფრენა ვერ შეძლო, რადგან პროგრამა შეჩერდა. ახლა კი, პლანეტის უმდიდრესი ადამიანის წყალობით, უოლი ფანკი ცხოვრების ოცნებას აიხდენს.

„დელტა“-შტამისგან დამცავი მეთოდი მოიფიქრეს

ტაილანდის წითელი ჯვრისა და გენური ინჟინერიის ეროვნული ცენტრის სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ AstraZeneca-სა და Sinovac-ის ვაქცინების კომბინაცია, ადამიანებს კორონავირუსის „დელტა“-შტამისგან იცავს. მკვლევარებმა რამდენიმე ცდა ჩაატარეს პრეპარატების სხვადასხვა კომბინაციებზე. აღმოჩნდა, რომ Sinovac-ით ორჯერ აცრისა და შემდეგ AstraZeneca-ს ინექციით ორგანიზმში, საკმარისი რაოდენობის ანტისხეულები გამომუშავდება, რათა „დელტა“-შტამს გაუმკლავდეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია კი ყველა ქვეყნის მოსახლეობას აფრთხილებს, რომ დამოუკიდებლად არ გადაწყვიტონ სხვადასხვა ვაქცინით აცრა, რადგან შერეული პრეპარატებით ვაქცინაციაზე ჯერ საფუძვლიანი კვლევები არ ჩატარებულა.

Facebook-ი საკუთარ ქალაქს აშენებს

სოციალური ქსელების გიგანტი, საკუთარი ფუნქციების ჩამონათვალს დეველოპერსაც დაუატებს. კომპანია კალიფორნიაში, მენლო-პარკში, სათაო ოფისის გვერდით, მთელი ქალაქის აშენებას გეგმავს, რომელსაც Willow Park ერქმევა. პროექტით გათვალისწინებულია 1 729 ბინის, სუპერმარკეტის, აფთიაქის, საცალო ვაჭრობის ობიექტების, ასევე 1.25 მილიონი კვარდატული მეტრი ახალი საოფისე ფართების მშენებლობა, სადაც დაახლოებით 7 000 თანამშრომელი იმუშავებს. გამოქვეყნებული მასალებით, ახალ ქალაქში იქნება არქიტექტორული ღირსშესანიშნაობანი, პარკები და მოდერნისტული საოფისე შენობები – შუშის დიდი გუმბათებით. კომპანიაში აცხადებენ, რომ ახალ საცხოვრებლებში, 120 ბინა მოხუცებისთვის იქნება, 320 კი – ნებისმიერი მსურველისთვის, ვინც იქ ბინის ყიდვას მოისურვებს. თუმცა სილიკონის ველზე იმდენად ასტრონომიული ფასები მოქმედებს, რომ საცხოვრებლის ყიდვას ისინიც კი ვერ ახერხებენ, რომელთა ხელფასიც ექვსნიშნა ციფრია.

ვაქცინა იშვიათ დაავადებას იწვევს

ფარმაცევტული გიგანტის – Johnson & Johnson-ის მიერ შექმნილმა, კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინამ, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, იშვიათი დაავადების განვითარება გამოიწვიოს, – ამის შესახებ, აშშ-ს მედიკამენტებისა და პროდუქტებზე ზედამხედველობის სამმართველოს ჩინოვნიკებმა განაცხადეს. თუმცა იქვე განმარტავენ, რომ რისკი "ძალიან დაბალია". საუბარია აუტოიმუნურ დაავადებაზე – გიიენბარის სინდრომზე. სპეციალისტების განცხადებით, Johnson & Johnson-ის ვაქცინით აცრილ რამდენიმე პაციენტს ეს დაავადება თვენახევარში – 42 დღეში განუვითარდა. სინდრომის მქონე ადამიანებში, იმუნური სისტემა ნერვულ უჯრედებს უტევს. ზიანდება პერფერიული ნერვები, რაც კუნთების სისუსტესა და მგრძნობელობის დაქვეითებას იწვევს.

„კოსმოსური ბრინჯის“ მოსავალი აიღეს

ჩინეთში „კოსმოსური ბრინჯის“ პირველი მოსავალი აიღეს, რომელიც მთვარეზე ნამყოფი მარცვლებით მოიყვანეს. საუბარია 40 გრამ ბრინჯზე, რომელიც გასულ წელს კოსმოსში გააგზავნეს. აპარატი მთვარეზე დაჯდა და წლის ბოლოს დედამიწაზე დაბრუნდა. Bloomberg-ის მონაცემებით, კოსმოსური რადიაციით დასხივებისა და უწონობის მდგომარეობაში ყოფნის შემდეგ, ზოგიერთმა თესლეულმა, შესაძლოა, მუტაცია განიცადოს და დედამიწაზე მისგან გაცილებით დიდი მოსავალი მიიღონ. ჩინეთი ბრინჯსა და სხვა, 200-მდე კულტურას, მათ შორის ბამბასა და პომიდორს, 1987 წლიდან, კოსმოსში გზავნის. მათ დასათესად გამოყოფილმა ტერიტორიამ, 2018 წელს, უკვე 2.4 მილიონი ჰექტარი შეადგინა.

ყავა კოვიდით დაინფიცირებას ხელს უშლის

ყოელდღიურად, ერთი ფინჯანი ყავის სასარგებლო არგუმენტები ამერიკელმა სწავლულებმა გაახმოვანეს, ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტიდან. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ყოველდღიურად, ამ გამამხნევებელი სასმელის ერთი ჭიქაც კი, კორონავირუსით დაინფიცირების ალბათობას ამცირებს. კერძოდ, სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ადამიანები, რომლებიც დღის განმავლობაში ერთ ან მეტ ფინჯან ყავას მიირთმევენ, 10%-ით ნაკლებად ინიციფირდებიან ვირუსით, ვიდრე ისინი, რომლებიც საერთოდ არ სვამენ ყავას. სპეციალისტები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ ყავის მოხმარება ისეთ ბიომარკერებს უკავშირდება, როგორებიცაა CRP (C-რეაქტიული ცილა), "ინტერლეიკინ-6" და სხვა, რომელთაც დაავადების მძიმე მიმდინარეობის გამოწვევა შეუძლიათ. გარდა ამისა, სწავლულებმა კვლევებისას ისიც შენიშნეს, რომ ასაკოვან ადამიანებს, რომლებიც ყავას მიირთმევენ, პნევმონიის განვითარების ნაკლები რისკი აქვთ.

მგზავრებს გენდერულ-ნეიტრალურად მიესალმებიან

გერმანული ავიაკომპანია Lufthansa აპირებს, უარი თქვას მგზავრების მისალმებაზე სიტყვებით – "ბატონებო და ქალბატონებო". ამის ნაცვლად, გენდერულ-ნეიტრალურ ფრაზებს გამოიყენებენ. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია, მისალმებისას ყველა "გაითვალისწინონ".

"გვაქვს სხვადასხვა ვარიანტი იმისდა მიხედვით, რა დრო იქნება. მაგალითად, "დილა/საღამო მშვიდობისა, ძვირფასო სტუმრებო", ან კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბორტზე", – აცხადებს კომპანიის წარმომადგენელი. ცნობილია ისიც, რომ ახალი წესი გავრცელდება Lufthansa-ს შვილობილ კომპანიებზეც, როგორებიცაა: Eurowings, Swiss, Austrian Airlines და Brussels Airlines.

უმოძრაობა ტვინის სტრუქტურას ცვლის

ქრონიკული დაავადებები ცხოვრების მჯდომარე წესის შედეგია. ნეირობიოლოგები ამტკიცებენ, რომ ფიზიკური აქტიურობის არარსებობამ, შესაძლოა, ნერვული უჯრედების ფორმები შეცვალოს. ახალმა კვლევებმა აჩვენა, რომ სამი თვის განმავლობაში, ფიზიკური დატვირთვის გარეშე, ნაკლებმოძრავმა ცხოვრების წესმა, ტვინის უჯრედების წანაზარდების ფორმა შეცვალა. ასეთი ცვლილებები არასწორ სიგნალებს გადასცემენ. მღრღნელებზე ჩატარებული ექსპერიმენტისას, ცხოველების ერთ ჯგუფს გადაადგილება შეეძლო, მეორე კი უმოძრაოდ რჩებოდა. სამი თვის შემდეგ, სწავლულებმა თაგვების თავის ტვინის სტრუქტურა გააანალიზეს. აღმოჩნდა, რომ ცხოველების უჯრედებს წანაზარდები გაუჩნდა, რის გამოც, ნერვული უჯრედები ადვილად აღგზნებადი გახდა. ამის გამო, ნერვული უჯრედები ტვინს არასწორ სიგნალებს უგზავნიდნენ, ინფორმაციის დამუშავების პროცესი კი დაირღვა. ასევე, ნეირონები უგზავნიან სიგნალებს ნერვულ სისტემასა და გულს, რაც არტერიულ წნევას ზრდის.

„ომეგა-3“ ბავშვის ინტელექტს არ აუმჯობესებს

მიუხედავად იმისა, რომ მედიკოსები ორსულებს ურჩევენ, ნაყოფის ტვინის განვითარების გასაუმჯობესებლად, „ომეგა-3“ ცხიმმჟავები მიიღონ, ბოლო გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ ასეთი დანამატები სულაც არ აუმჯობესებენ ბავშვების კოგნიტიურ თუ ლოგიკურ უნარებს. გამოკვლევის შედეგები ერთ-ერთი გამოცემის სპეციალურ გამოშვებაში გამოქვეყნდა, რომელიც პატარების ჯანმრთელობას მიეძღვნა. ავსტრალიელმა სწავლულებმა ხანგრძლივი დაკვირვება ჩაატარეს, რომლის დროსაც, ყოველდღიურად, ორსულები 800 მგ პლაცებოს ან „ომეგა-3“-ს იღებდნენ. პირველადი კვლევებისას გაირკვა, რომ 18 თვემდე ბავშვების კოგნიტიური, ენობრივი და მოტორიკის უნარების საერთოდ არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. შემდეგი კვლევისთვის, 4 წლის ასაკის პატარები აირჩიეს, როცა განვითარების ნაკლებშესამჩნევი ეფექტებიც ვლინდება. აღმოჩნდა, რომ კოგნიტიური უნარების, ინფორმაციის რთული ფსიქოლოგიური დამუშავების უნარის, ენობრივი, მეხსიერების, ლოგიკის უნარების შემოწმებისას, არსებითი განსხვავება არ გამოვლინდა პლაცებოსა და „ომეგა-3“-ის მიმღებ ჯგუფებს შორის. ამგვარად, მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „ომეგა-3“-ის დანამატების მიღება ბავშვის გონებრივ განვითარებაზე გავლენას არ ახდენს.

კიდევ ერთხელ წითელ ღვინოზე

მეცნიერებმა მთელი რიგი გამოკვლევები ჩაატარეს და დაადგინეს, რომ წითელ ღვინოს სარგებელი მოაქვს მათთვის, რომლებსაც ცხოვრების წესის გამო, დიდხანს ჯდომა უხდებათ ან ფიზიკურად არასაკმარისად აქტიურები არიან. წითელი ღვინის შემადგენლობაში შედის ინგრედიენტი, სახელწოდებით – რესვერატროლი, რომელიც მკვლევარებმა მღრღნელების ორ ჯგუფზე გამოსცადეს. ერთ ჯგუფში, რომელსაც პერიოდულად აძლევდნენ რესვერატროლს, მალევე აღმოაჩინეს მექანიზმები, რაც დადებით გავლენას ახდენდა ორგანიზმზე. როგორც სწავლულები აღნიშნავენ, ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პერიოდულად, ადამიანისთვის აუცილებელია ფიზიკური დატვირთვა, თუმცა ზოგიერთისთვის, ამგვარი აქტივობა მეტად პრობლემატურია. სწორედ, ასეთი „ზარმაცების“ შემთხვევაში აღკვეთს წითელი ღვინო მათი ცხოვრების წესის ნეგატიურ შედეგებს. თუმცა მკვლევარები მასაც ამბობენ, რომ სასმელის მიღება მხოლოდ შეზღუდული რაოდენობითაა დადებითი შედეგის მომტანი.

თამბაქოს კვამლით გაჟღენთილი ავეჯი კიბოს იწვევს

ასეთი დასკვნა შემოგვთავაზეს ამერიკელმა მეცნიერებმა, ბერკლის ეროვნული ლაბორატორიიდან. მათი თქმით, ეს ადამიანის გენომში შეღწევის გზით ხდება. "მესამე გზის მოწევა" – ეს კვამლია, რომელიც სახლის ავეჯში შეიწოვება. შედეგად, ასეთმა პროცესმა, შესაძლოა, სასიკეთი პირობები შექმნას სიმსივნური წარმოანქმნების განსავითარებლად, რაც აღწევს ადამიანის გენომში და მის დარღვევას იწვევს. მეცნიერ-მუშაკები ამტკიცებენ, რომ ავეჯიდან ანაორთქლთან მოკლეხნიანი კონტაქტის შემდეგ, ადამიანის ორგანიზმში ცოცხალი უჯრდები კვდებიან და დნმ-ის სტრუქტურაც იცვლება. მსგავსი მოვლენის შედეგი, შესაძლოა, ონკოლოგიური დაავადება იყოს. სპეციალისტები გვირჩევენ, თავიდან მოვიშოროთ ავეჯი, რომელიც მთლიანად სიგარეტის კვამლითაა გაჟღენთილი.

ქალიშვილი უკაცრიელ კუნძულზე გადაასახლეს

ჩინეთის პროვინცია შანდუნში, მშობლებმა 13 წლის ქალიშვილი, ცუდი ყოფაქცევის გამო, უკაცრიელ კუნძულზე გაგზავნეს. გოგონა შემთხვევით მეთევზემ იპოვა და პოლიციას შეატყობინა. მანამდე მოზარდმა კუნძულზე ორი დღე გაატარა და იძულებული იყო, გასათბობად, ღამით კოცონიც აენთო. სამართალდამცველებმა გოგონა სახლში მიიყვანეს და გაარკვიეს, რომ მშობლებმა ის განზრახ გაგზავნეს კუნძულზე – ცუდი საქციელისა და დაუმორჩილებლობისთვის. მათ არ მოსწონდათ, რომ ქალიშვილი გამუდმებით ჭამას ითხოვდა, არ ეხმარებოდა საშინაო საქმეებში, ცუდად სწავლობდა და ბოლოს საერთოდაც მიატოვა სკოლა. დედ-მამის თქმით, აღზრდის ასეთი მეთოდი აუცილებელია. ყველაფერი გავთვალეთ და შვილს წყლისა და საკვების მარაგიც გავატანეთო.

გამაგრილებელი ქსოვილი შექმნეს



სწავლულებმა, უკვე ყველასთვის ცნობილი უჰანის პროვინციიდან, „ჭკვიანი ქსოვილი“ შექმნეს, რომელიც 60-გრადუსიან სიცხეშიც კი გააგრილებს ადამიანს. ტექნოლოგიის საფუძველი განსაკუთრებული ქსოვილია, რომელსაც „მეტაქსოვილი“ უწოდეს. ის ტიტანის ოქსიდის, ტეფლონისა და სპეციალური პლასტიკის ბოჭკოებისგან შედგება. ყველა ეს კომპონენტი მსხვილ ბოჭკოებშია ჩამონტაჟებული და მიკროსკოპული ბურთულების ფორმა აქვს. ასეთ ქსოვილზე მზის სხივების მოხვედრისას, პირველი ორი ნივთიერება აირეკლავს ულტრაიისფერ და ხილულ სხივებს, მესამე კი – ინფრაწითელს. ქსოვილი განსაკუთრებით ეფექტურია ადამიანის სხეულთან კონტაქტისას. შხვადასხვა ცდებით დამტკიცდა, რომ ახალი ქსოვილი უფრო უკეთ აკავებს სიცხეს, ვიდრე ბამბა. კიდევ ერთი ტესტი მანქანებში ჩაატარეს. ერთი ავტომობილის სავარძლებს ახალი ქსოვილი გადააკრეს, ხოლო მეორეს – სტანდარტული, მესამე კი დაცვის გარეშე დატოვეს. ჩაკეტილი მანქანები მზის გულზე დატოვეს. ცდის შედეგები შთამბეჭდავი აღმოჩნდა – მეორე და მესამე მანქანების სალონებში ტემპერატურამ 57 და 60 გრადუსს მიაღწია, პირველში კი, სადაც „მეტაქსოვილი“ იყო გადაკრული, ტემპერატურა 30 გრადუსამდეც კი არ აწეულა. ჩინელი სწავლულების გამოგონებით ტანსაცმლის მსხვილი მწარმოებლები დაინტერესდნენ, შესაბამისად, გამაგრილებელი მაისურებისა და ჟილეტების გაყიდვას უკვე მომავალი წლიდან გვპირდებიან.

პროდუქტები, რომლებიც ნერვებს დაგიწყნარებთ

ნერვული სისტემის პრობლემები მთელ ორგანიზმს ვნებს. ყველასთვის ცნობილია გამოთქმა: „ყველა დაავადება ნერვების ბრალია“. ნერვული აშლილობა, დეპრესია, ნევროზი მთელ ორგანიზმს ასუსტებს, რაც უამრავ დაავადებას „უხსნის კარს“. მედიკოსებმა ნერვების გასამტკიცებელი ხუთი ძირითადი პროდუქტი დაასახელეს.

1. პროდუქტები, რომლებიც ნერვებისთვის შეუცვლელ ვიტამინ „ბე-1“-ს შეიცავენ – წიწიბურასა და შვრიის ფაფები, ღორის ხორცი, ჭვავის პური.

2. ხშირად, ნერვულ სისტემას გონებრივი სამუშაოთი გადავტვირთავთ ხოლმე, რომლის დროსაც, აუცილებელია ვიტამინი „ბე-2“. ამ დროს დახმარების ხელს „გამოგვიწვდიან“ პარკოსნები, ისპანახი, ლუდის საფუარი, გარგარი, კვერცხი. ამ პროდუქტების გარშე, უარესდება განწყობა, იწყება თავის ტკივილი და სისუტე.

3. თანამედროვე ცხოვრება სტრესის წყაროა. ემოციური დატვირთვისას, ირღვევა ტვინის ინტელექტუალური მუშაობა, ზიანდება მეხსიერება, თავს იჩენს ხასიათის მკვეთრი ცვლილებები. ამის თავიდან ასაცილებლად, მიიღეთ ვიტამინ „ბე-12“-ით გაჯერებული პროდუქტები: ზღვის პროდუქტები, გულ-ღვიძლი, კვერცხის ცილა. თუ ამ პროდუქტებს არ მიირთმევთ ან არ გიყვართ, გახსოვდეთ, რომ საკუთარ თავს ალცჰაიმერის სინდრომით დაავადების რისკს უზრდით.

4. რძე და რძის პროდუქტები, მათ შორის, რძემჟავა პროდუქტებიც. ეს იმიტომ, რომ კალციუმის გარეშე, მაგარი ნერვები ვერ გექნებათ. ამ მინერალის უკმარისობა მუდმივ შფოთიანობასა და გაღიზიანებას იწვევს.

5. ტვინის მუშაობისა და ჰორმონალური ბალანსისთვის აუცილებელია იოდი. ზღვის ყველა პროდუქტი, მათ შორის, ზღვის კომბოსტო და ზღვის ნებისმიერი თევზი იოდის წყაროა. მაგალითად, თუ ზღვის კომბოსტო არ გიყვართ, პრობლემა არ არის, იყიდეთ ის გამომშრალი სახით, დაფქვით და საჭმელში სანელებლის სახით დაამატეთ.

საქართველოს სანაპირო დაცვამ მრავალეროვნული სწავლება SEA BREEZE-2021 შემაჯამებელი საზღვაო წვრთნებით დაასრულა

მრავალეროვნული ყოველწლიური სწავლება SEA BREEZE-2021 დასრულდა. სწავლების ბოლო ეტაპზე, უკრაინის ტერიტორიულ წყლებში, პროგრამაში ჩართული ქვეყნების მცურავი საშუალებების მონაწილეობით, ერთობლივი საზღვაო წვრთნები გაიმართა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ხომალდების – „დიოსკურიასა“ და „ოჩამჩირეს“ ეკიპაჟებმა, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების საზღვაო დანაყოფებთან ერთად, ძებნა-გადარჩენის ოპერაციები, საზღვაო სროლები და ტაქტიკური მანევრები განახორციელეს. წვრთნების მიზანი იყო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ურთიერთქმედების დახვეწა და ერთობლივი შესაძლებლობების გაზრდა.

აშშ-ის მე-6 ფლოტისა და უკრაინის საზღვაო ძალების ერთობლივი ორგანიზებით, სწავლება SEA BREEZE, შავ ზღვაში, 10 დღის მანძილზე მიმდინარეობდა. SEA BREEZE-2021, წელს ყველაზე მასშტაბურად ჩატარდა და მასში ექვსი კონტინენტის 32 ქვეყნის 5000-მდე პერსონალი, 32 გემი, 40 საჰაერო ხომალდი, სპეციალური ოპერაციებისა და მყვინთავთა 18 ჯგუფი მონაწილეობდა.

მრავალეროვნულ სწავლებაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები საზღვაო, სახმელეთო და საშტაბო კომპონენტებში მონაწილეობდნენ. სწავლების თითოეული ელემენტი დაიგეგმა და განხორციელდა ნატოს სტანდარტებისა და პროცედურების სრული დაცვით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 8 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისსა და მარნეულში, 8 პირი დააკავეს.

ყველა მათგანი: 1969 წელს დაბადებული პ.გ. (მეტსახელად, „პალიკო“), 1980 წელს დაბადებული ზ.გ. (მეტსახელად, „მუხო“), 1964 წელს დაბადებული ჯ.გ. (მეტსახელად, „ჯამა“), 1995 წელს დაბადებული ვ. გ., 1983 წელს დაბადებული დ.დ., 1991 წელს დაბადებული დ.ა., 1983 წელს დაბადებული ვ.გ. (მეტსახელად, „ლაპუხა“), 1963 წელს დაბადებული ა.ო. „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ბრალდებითაა დაკავებული.

დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთ მოქალაქეს, ბრალდებულ ა.ო.-სთან, პროცენტიან სესხთან დაკავშირებით, ფინანსური დავა წარმოექმნა.

ა.ო., სადავო საკითხის „ქურდული წესების“ შესაბამისად განხილვისა და დავის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით, ერთ-ერთი ბრალდებულის – დ.ა.-ს მეშვეობით დაუკავშირდა „ქურდული სამყაროს“ წევრებს, ასევე, ბრალდებულებს. აღნიშნულმა პირებმა ა.ო.-ს საკუთარი მატერიალური სარგებლის მიღების სანაცვლოდ, დახმარება აღუთქვეს.

ბრალდებულებმა, 2021 წლის აპრილსა და მარტში, თბილისში, ერთ-ერთ უბანში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ფინანსური დავის „ქურდული წესით“ გარჩევა მოაწყვეს.

დავის „ქურდული წესით“ გარჩევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დაზარალებული მოვალისგან – ა.ო.-სგან, სადავო თანხას – 26 000 აშშ დოლარს ვერ მიიღებდა, რადგან მისი საქმიანობა „ქურდული სამყაროს“ წესებს არ შეესაბამებოდა.

პოლიციამ, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი „ქურდული შეხვედრების“ ორგანიზებისთვის ერთმანეთს უკავშირდებოდნენ.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით და 223-ე მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილებით მიმდინარეობს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.